ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე სამშაბათს. №15 (1787) 3-17 დეკემბერი, 2002

## ღია წერილი გიორგი ჭანტურიას

● საქართველო პოლიტიკური უდაბნო მე-2 გვ.



● «ბოროტების სათავე ანუ როგორ მე-8 გვ. შეთითხნეს მეგრელთა საქმე»

● მეცნიერების ფასი – განათლებულ მსოფლიოში მე-3 გვ.

● რუსეთის არხები. ვისია, რას იძლევა? მე-4 გვ.

● ფსკოვო-პეჩორის მონასტრის ხატებიდან მირონდენა დიდ ომს მოასწავებს მე-6 გვ.

● როგორ გაიხადა მასწავლებელმა მე-9 კლასელი ბიჭი მე-7 გვ. საყვარლად

● „არამზადა მე-4 გვ. ბიზნესმენის" სახე ამერიკაში. მართლაც „მნიფდება" იგი?

## პრეზიდენტის მორიგი ისტორიული პასუხისმგებლობა თუ... სივერაგე?



კარიკატურა მურთაზ აბაშიძისა

მკითხველთა საყურადღებოდ! გაზეთი გამოდის ორ კვირაში ერთხელ

## ამერიკულ-ქართული სიყალბე ანუ რისთვის გვაჩუქა პენტაგონმა 10 ვერტმფრენი?

მე-2 გვ.

მოვლენათა კვალდაკვალ

# ამერიკულ-ქართული სიყალბე ანუ რისთვის გვაჩუქა პენტაგონმა 10 ვერტმფრენი?

საქართველოსთვის ამერიკული სამხედრო დახმარების ავ-კარგიანობაზე საუბარი გვინდა დავიწყოთ 1996 წლის აპრილის დასაწყისში თბილისში ნატოს ეგიდით ჩატარებული პირველი წარმომადგენლობითი ღია კონფერენციის გახსენებით. ამ ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ „ნატოს ინფორმაციის და პრესის ოფისი", „ფრიდრიხ ებერტის ფონდი" და „კავკასიური ინსტიტუტი", ხოლო იგი ჩატარდა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში. კონფერენციის ზოგადი თემა იყო „მცირე ქვეყნების (იგულისხმება საქართველო) ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განვითარება". მალევე „კავკასიურმა ინსტიტუტმა" ბროშურის სახით გამოსცა აღნიშნული კონფერენციის მასალები.

ღია კონფერენციის ზოგადი თემის ფარგლებში ერთ-ერთი სამუშაო ჯგუფის კერძო თემას შეადგენდა „არმიის მშენებლობა ეკონომიკურად სუსტ ქვეყანაში", ხოლო ძირითადი მომხსენებელი გახლდათ ამერიკელი სამოქალაქო ექსპერტი სამხედრო საკითხებში ბატონი ქენეთ ბრაუერი. მისი სიტყვებით: „ნატოს ქვეყნებში თავდაცვას არ უყურებენ სერიოზულად, რადგან აქვთ გარანტია ამერიკული ბირთვული იარაღის სახით... ნატოს წევრ ქვეყნებში სამხედრო სამსახურში იყენებენ 18-38 წლის მამაკაცთა მხოლოდ 2-10%-ს (იგულისხმება ომიანობის დროს შეიარაღებული ძალები — ხაზი ჩვენია, ი. ხ.). ეს იმიტომ, რომ ისინი დიდი ქვეყნებია. ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია, სინგაპური და ისრაელი საგანგებო ვითარებაში იყენებენ იმავე ასაკის მამაკაცების 100%-ს. რას ნიშნავს ეს? თუ ქვეყანაში ხუთმილიონიანი მოსახლეობაა, ნატოს პრაქტიკის თანახმად, ომის შემთხვევაში, მხოლოდ 60 ათასი ადამიანი უნდა გაიწვიონ, მაგრამ რეალურად 5 მილიონ ადამიანზე შეიძლება 550-ათასიანი არმიის მობილიზებაც".

აქ ბატონი ბრაუერის ნათქვამში გარკვეული უზუსტობაა. სტრატეგიული კვლევების ლონდონის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, ცივი ომის მიწურულს, 1991 წელს ნატოს ბლოკის იმ მცირე ევროპული სახელმწიფოების სარდლობები, რომლებიც ვარშავის პაქტის სახელმწიფოთა დასავლეთ საზღვრიდან დაშორებული იყვნენ გერმანიის ტერიტორიით (ანუ ნიდერლანდების, ბელგიის, დანიის), ომიანობის დროს გეგმავდნენ შეიარაღებულ ძალებში მართლაც საკმაოდ მცირე რიცხვის სამხედროვალდებულთა მობილიზებას — მოსახლეობის სულ 1,7-3,4%-ის, ხოლო ნორვეგიის სარდლობა, რომელიც უშუალოდ ემეზობლებოდა საბჭოთა კავშირს — ქვეყნის მოსახლეობის 8,5%-სა. ამ მაჩვენებლით იგი თითქმის უტოლდებოდა ფინეთს, შვედეთს, შვეიცარიასა და ისრაელს, სადაც ომიანობის დროს შეიარაღებულ ძალებში უნდა გაეწვიათ ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 10%. სახელდობრ, 5,0-მილიონიან ფინეთში ომიანობის დროს იარაღით ხელში უნდა გამოსულიყო 500 ათასი ადამიანი, და კიდევ 200 ათასი ზურგისა და სხვა დამხმარე სამსახურებში; 6,5-მილიონიან შვეიცარიას ჰყავდა 625 ათასი მომზადებული რეზერვისტი; ხოლო 4,8-მილიონიან ისრაელს ომის დროს გამოჰყავდა 504-ათასიანი შეიარაღებული ძალები. ამ ფონზე 4,2-მილიონიანი ნორვეგიის სამხედრო ხელმძღვანელობას 358 ათასი მომზადებული რეზერვისტი ჰყავდა ომიანობის დროს გამოსაყვანად.

კონფერენციის მუშაობისას ერთ-ერთმა ქართველმა მონაწილემ დასვა შეკითხვა: „როგორი უნდა იყოს (ჯარების) დაკომპლექტების წესი? ჯობია მცირე ნაწილები პროფესიულ პრინციპზე, თუ საყოველთაოდ გაწვეული 30-40-ათასიანი არმია?"

ამაზე ბატონმა ბრაუერმა უპასუხა: „მე არ მჯერა მუდმივი არმიის. პატარა ქვეყნებში არმია მოსამზადებელი სკოლაა. ნამდვილი ძალა რეზერვია. ყველა გაწვეული კარგად უნდა მომზადდეს. მაგრამ თითოეული ქვეყნის პრეზიდენტს სჭირდება სწრაფი რეაგირების ძალაც. ამისთვის საკმარისია 18-თვიანი გაწვევა. ამ ვადის პირველი მესამედის მანძილზე ჯარისკაცი გადის ინდივიდუალურ წვრთნას, მეორე მესამედი ეთმობა მომზადებას სამხედრო ნაწილში, ბოლო მესამედს კი ჯარისკაცი პრეზიდენტის ხელქვეით მსახურობს. შემდეგ ჯარისკაცი გადადის რეზერვში, მაგრამ მას ახალი შეცვლის... (ამის შედეგად მოხდება შეკავშირებული, შეკრული ნაწილების შექმნა, რომელთა წევრები ერთ სარეზერვო ნაწილებში იმსახურებენ შემდგომი 20 წლის მანძილზე. ესაა უწყვეტი ჯაჭვი და ხუთ-ექვს წელიწადში იარსებებს მაღალკვალიფიციური არმია. იწყებთ პატარა ბირთვით და 20 წელიწადში გეყოლებათ 500-ათას კაციანი რეზერვი. იმედია, ამ დროისთვის ფულიც გექნებათ (სათანადო შეიარაღების შესაძენად)".

ბატონი ბრაუერის სიტყვების დასტურად მოვიყვანთ ისევ 1991 წლის ფინეთის მაგალითს. ამ 5-მილიონიანი ქვეყნის მშვიდობიანობის დროის რეგულარულ შეიარაღებულ ძალებში მიითვლებოდა 31800 ადამიანი (მათგან 24 000 გაწვეული). ხოლო სახმელეთო ჯარების საბრძოლო შემადგენლობაში ნაჩვენები იყო ერთი ჯავშანსატანკო და ათი ქვეითი სასწავლო ბრიგადა, საველე და სანაპირო არტილერიის სამი პოლკი და სამი ცალკეული დივიზიონი, საჰაერო თავდაცვის ოთხი პოლკი. სარეზერვო კომპონენტში კი შედიოდნენ ერთი ჯავშანსატანკო და 15ქვეითი ბრიგადა, დაახლოებით 50 ცალკეული ბატალიონი (დივიზიონი) და ტერიტორიული (ადგილობრივი) თავდაცვის 200 ცალკეული ბატალიონი (ასეული). ასეთნაირად აწყობილი რეგულარული და სარეზერვო შენაერთების, ნაწილებისა და ცალკეული ქვედანაყოფების სისტემა უზრუნველყოფდა საჭიროების დროს ერთი კვირის განმავლობაში 700-ათასიანი შეიარაღებული ძალების მობილიზებას.

სწორედ ასეთი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას გვთავაზობდნენ 90-იანი წლების შუახანებში სპეციალისტები. იმ დროიდან ექვს წელიწადნახევარზე მეტი გავიდა, და ჩვენს ხელისუფლებას სერიოზულად რომ გადაედგა პრაქტიკული ნაბიჯები ამ მეტად ნათელი, კონკრეტული და განხორციელებადი ამოცანების გადასაჭრელად, დღესდღეობით უკვე 120-150 ათასი მომზადებული რეზერვისტი უნდა გვყოლოდა. მათი სათანადოდ შეიარაღების შემთხვევაში საქართველო რეგიონში უკვე ანგარიშგასაწევი ძალის მქონე სახელმწიფო იქნებოდა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხსაც გაცილებით უკეთესად მოაგვარებდა და ვერც რუსული საბრძოლო ავიაციის წვრილი თავდასხმების მსხვერპლად იქცეოდა. მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ პრაქტიკულად არაფერი გააკეთა ქვეყნის სამხედრო მშენებლობის რეალურად წარსამართავად, ხოლო ამ საქმით დაკავებულ სტრუქტურებში დასაქმებული, ძირითადად, არაკომპეტენტური ადამიანები ნატოს ქვეყნებში მივლინებებით „გულაობას" უფრო მეტ ძალასა და ენერგიას ახმარდნენ, ვიდრე თანამედროვე სამხედრო საქმის საფუძვლიანად შესწავლასა და ქვეყნის თავდაცვის სისტემის რეალურად ჩამოყალიბებას.

ამის კვალდაკვალ თანდათან იცვლებოდა ამერიკელი და სხვა ნატოელი სპეციალისტების რჩევები საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების საქმეში. იმავე პენტაგონისა და ბუნდესვერის წარმომადგენლები, რომლებმაც ჩვენს მეზობელ თურქეთს სახმელეთო ჯარების შეიარაღების გასაახლებლად 90-იან წლებში მიაწოდეს 1180-მდე საბრძოლო ტანკი, 340 თვითმავალი ჰაუბიცა და სხვა საარტილერიო შეიარაღება, ხოლო თავად თურქებს მისცეს ლიცენზია და გამოაშვებინეს UPR-765 სერიის 1480 მოჯავშნული საბრძოლო მანქანა და ა.შ., ჩვენ დაჟინებით გვიმეორებდნენ, რომ საქართველოს ჯავშანსატანკო ტექნიკა და საველე არტილერია მაინცდამაინც არ სჭირდება და მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ჯარებითაც შეძლებს საკუთარი თავდაცვის უზრუნველყოფას.

ნატოელი სპეციალისტების რჩევებში გამოიკვეთა და ჩვენში დაემკვიდრა მეორე სიყალბეც, რომ თურმე მრავალრიცხოვანი რეზერვისტების მომზადება საჭირო აღარ არის და ჩვენი თავდაცვისათვის საკმარისი იქნება მცირერიცხოვანი პროფესიული და კარგად გაწვრთნილი ჯარების აშენება, და ამას რატომღაც ნატოს ბლოკის სტანდარტებად ასაღებენ. როგორც ზემოთ ვნახეთ, თავად ნატოს პრაქტიკიდან გამომდინარე, ე. წ. „ცხელ რაიონში" მდებარე ბლოკის წევრი სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ომიანობის დროს ქვეყნის მოსახლეობის 10%-ის ტოლი შეიარაღებული ძალების მობილიზებას. დღესდღეობით ეს მაჩვენებელი, ცივი ომის დასრულების გამო, იგივე ნორვეგიაში (შვეიცარიის მსგავსად) მოსახლეობის 5%-მდეა შემცირებული და 220 ათას რეზერვისტს ითვალისწინებს, და არა 12 ათასი პროფესიონალს, როგორც ამას ჩვენ ამერიკელი და სხვა ნატოელი სპეციალისტები „გვირჩევენ".

მცირერიცხოვანი შეიარაღებული ძალების მშენებლობის პრაქტიკა მართლაც არის ნატოს ბლოკის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ნიდერლანდები, ბელგია და პორტუგალია, მაგრამ ნუთუ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, სამხედრო-პოლიტიკური გარემოცვა და რეგიონში სიტუაციის დაძაბულობა რამდენადმე უახლოვდება დასავლეთ ევროპის ამ სამი მცირე სახელმწიფოს მდგომარეობას? და მერე რატომ არის გასაღებული თუნდაც ნიდერლანდების, ბელგიისა და პორტუგალიის სამხედრო მშენებლობის პრაქტიკა „ნატოს სტანდარტებად", როდესაც სრულიად საწინააღმდეგოს მეტყველებს ნორვეგიის, ან ბლოკის სამხრეთ ფლანგზე მდებარე საბერძნეთისა და თურქეთის გამოცდილება?

რატომ შეიცვალა ასე რადიკალურად ნატოელი მრჩევლების დამოკიდებულება საქართველოს ჯარების მშენებლობისადმი? საქმე იმაშია, რომ 90-იანი წლების შუახ-

გაგრძელება მე-7 გვ.

# ღია წერილი
## ბატონ გიორგი ჭანტურიას

პატივცემულო ბატონო გიორგი!

მოგმართავთ როგორც ქართველ თანამდებობის პირს, რომელიც ყველაზე ახლო დგახართ საქართველოში ნავთობსადენის და გაზსადენის გატარების გეგმასთან.

მე, შეიძლება ითქვას, კოდიანის ფერდობებზე გაზრდილი ვარ, კერძოდ, მთის იმ მხარეზე, რომელიც მდ. ბორჯომულას აუზს ეკუთვნის. ვიცი ყოველი კენჭი იმ მიდამოში, მათ შორის ულამაზესი მთაც სანისლო — ყველაზე მაღალი წერტილი იმ არემარეში (2991 მ ზღვის დონიდან). ეს გახლავთ ცნობილი ცხრაწყაროს მეზობელი მწვერვალი და ამ ორს შორის მდებარეობს ცხრაწყაროს უღელტეხილი, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული გზა. ეს მწვერვალი არის კლდე, რომლითაც მთავრდება ბალახოვანი ფერდობები — ალპიური ზონა. მას „სანისლო" ჰქვია სავსებით კონკრეტული მიზეზის გამო: თუ ცაში სადმე ერთი ფთილა ღრუბელი მაინც არის, იგი იმ კლდეზე ჩერდება.

ისტორიულ და მოსახლეობისთვის დღესაც კარგად ცნობილ სახელს „სანისლო" რუსულ რუკებში ჩანაცვლებული აქვს თურქული სახელი „ყარა კაია" („შავი კლდე"), ხოლო სახელი „სანისლო" შეცდომით აქვს მიკუთვნებული მეზობელ ბალახოვან მწვერვალს, რომელსაც ნისლთან არავითარი კავშირი არა აქვს.

სამწუხარო იქნება, თუ ჩვენს ტოპონიმიკაში, რომელიც დღეს მსოფლიოსთვის საინტერესო გახდა, ქართულის ნაცვლად თურქული სახელი დაფიქსირდება, ამიტომ გთხოვთ ილონოთ, რაც შეგეძლებათ.

პატივისცემით ნოდარ ნათაძე




# საქართველო – პოლიტიკური უდაბნო

ქართველი ხალხი 200 წელი იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და თავისუფალი სახელმწიფოს აშენების ამოცანის წინაშე დადგა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს აშენება ძალიან ძნელი ყოფილა. დამოუკიდებლობა თურმე სულაც არ ნიშნავს თავისუფლებას. ძველი კავშირები, რომლებიც არ მოგვწონდა, დაირღვა, მაგრამ ახალი, სასურველი კავშირების ჩამოყალიბება ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ვერც გარეთ, სხვა ქვეყნებთან და ვერც შიგნით, საკუთარ ხალხთან. საქართველო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ცნობილი ფსიქოანალიტიკოსი და სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენელი ე. ფრომი ამტკიცებდა, რომ თავისუფლება ერებსა და ადამიანებს დიდი ფსიქოლოგიური სიძნელეების წინაშე აყენებს და მათ „თავისუფლებისაგან გაქცევის ტენდენცია" უჩნდებათ. მაგრამ შემდგომ, უფრო ღრმა ანალიზის საფუძველზე, ნათელი გახდა, რომ ერებსა და ადამიანებს გაქცევის ტენდენცია უჩნდებათ არა თავისუფლებისაგან, არამედ დამოუკიდებლობისაგან. დამოუკიდებლობა თავისუფლების პირველ საფეხურს წარმოადგენს. ამ ეტაპზე ერი გამოდის სხვა სახელმწიფოს მორჩილებიდან, ხდება დამოუკიდებელი, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა სჭირდება, რომ თავისუფალი სახელმწიფო გახდეს. ერი თავისუფალი ხდება მაშინ, როცა იგი სახელმწიფოდ ყალიბდება, ურთიერთობაში შედის სხვა სახელმწიფოებთან, თავად სახავს თავის მიზნებსა და ამოცანებს და მათ მიხედვით იწყებს ცხოვრებას. ამ დროს ერი თავად ახორციელებს თავის საქმიანობას, თავისი აქტიობის ავტორი ხდება. თავისუფლების მოპოვების შემდეგ ერს სულაც არ უჩნდება ტენდენცია გაექცეს თავისუფლებას. დამოუკიდებლობის პირობებში, სანამ ერი თავისუფალი გახდება, ჩვეულებრივ, კარგავს საარსებო მინიმალურ საშუალებებს, რაც მას სხვისი ბატონობის ვითარებაში ჰქონდა. იგი ამ დროს თავს „უპატრონოდ", „უმწეოდ", „მიგდებულად" განიცდის. ასეთ ვითარებაში უჩნდება მას ტენდენცია გაექცეს დამოუკიდებლობას, მძიმე მდგომარეობას. დადგინდა, რომ დამოუკიდებლობისაგან გაქცევის სამი გზა არსებობს, მეოთხე — თავისუფლებისაკენ მიდის.

დამოუკიდებლობიდან გაქცევის ერთ-ერთი გზა უკან, ძველ მდგომარეობაში დაბრუნებაა. ჩვენს ქვეყანაში იგი გამოიხატა, როცა ხელისუფლებამ და გარკვეულმა პარტიებმა საქართველოს უკან, რუსე-

გაგრძელება მე-7 გვ.

ობიექტური ინფორმაცია

# ამერიკა, ევროპა და ირანი. რომელი კურსი აირჩევა ირანის მიმართ?

დღეს ამერიკელებისა და ევროპელების მიზნები ირანის მიმართ ერთია: „დაარწმუნონ", რომ ზედმეტი შფოთი არ შექმნას არც თავის შიგნით, არც მეზობლობაში, და დათანხმდეს განსაკუთრებით სახიფათო იარაღების კონტროლის იმ ზომაზე, რომელზეც ხელი აქვს მოწერილი. ამ მიზნის მიღწევის გზებს ამერიკელები სხვაგვარად ხედავენ, ევროპელები — სხვაგვარად. პირველნი იმედს ამყარებენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სანქციებზე, მეორენი — მოლაპარაკებებსა და ვაჭრობაზე, რაშიც ისინი, სხვათა შორის, საკუთარ მოგებასაც ხედავენ. ევროპელები თვლიან, რომ ბუშს ირანი არ უნდა დაესახელებინა „ბოროტების ღერძი" სახელმწიფოების (ჩრდ. კორეა, ერაყი, ირანი) რიცხვში და შიშობენ, ბუშის პოლიტიკა, ზოგადად, ძალიან შორს არ წავიდეს „ერთმხრივი მოქმედების" (ანუ ევროპელთა უკითხავად მოქმედების) მიმართულებით, რისთვისაც მათ საკუთარი მოტივებიც აქვთ (სახელდობრ, ის, რომ ევროპას არ ხვდება წილი მსოფლიო გავლენის იმ გაფართოებაში, რასაც ამერიკელები თავისი სააზიო პოლიტიკის გააქტიურებით აღწევენ). რომელი ამ ორ კურსთაგანი უფრო შედეგიანია, ჯერჯერობით არ ჩანს, ირანის შიგნით მისი დღევანდელი მმართველი ხათამი ყველანაირად ცდილობს, ირანს უფრო დემოკრატიული და, ამდენად, უფრო პრესტიჟული იერი მისცეს. მეორეს მხრივ კი კლერიკალურ-დიქტატორული (დღეს მეტ-ნაკლებად უჩინარი) ძალები ცდილობენ, ყოველივე იმ არხში მოძრაობდეს, რომელიც 1979 წლის „ისლამურმა რევოლუციამ" შექმნა. ამ ძალების უკან, როგორც მათი უზენაესი ლიდერი, აიათოლა ალი ხამანკი დგას.

თუ, ხათამის წყალობით, ამ ბოლო წლებში ირანის პოლიტიკამ უფრო თანამედროვე სახე მიიღო, ეს, ჟ. „THE ECONOMIST"-ის აზრით, ევროპული ტაქტიკის დამსახურება უფროა, ვიდრე ამერიკულისა. ირანელებმა ხელი აიღეს ევროპაში თავშეფარებული თავისი დისიდენტების ხოცვაზე, ასევე ბრიტანეთის მოქალაქე ავტორის მკვლელობისკენ მოწოდებაზე, რომელმაც მათი რელიგიური გრძნობები შელახა თავისი თხზულებით. ირანმა აგრეთვე შეაჩერა თავისი მცდელობა, შფოთი ჩამოაგდოს შიიტ მუსლიმანებსა და სუნიტური ხელისუფლების მყოლ მუსლიმანურ ქვეყნებს შორის, როგორნიც არიან პაკისტანი, საუდის არაბეთი ან ბაჰრეინი. მაგრამ მეორის მხრივ, ამერიკული მიდგომის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ირანი დათანხმდა დასავლეთისადმი დახმარებაზე ავღანეთის ომის დროს და რომ მან დახურა ირანში ფუნდამენტალისტი ავღანელი ლიდერის ჰაქმათიარის წარმომადგენლობები.



ბუშის თვითნაკეთი ფიგურა ქუჩის „აქციაში"

თუმცა ირანის საგარეო პოლიტიკამ ერთგვარი შერბილება განიცადა ხათამის წყალობით, მისი ორივე მთავარი მიუღებელი პუნქტი ძალაში დარჩა. ერთია ტერორისტული ჯგუფების დახმარება, მეორეა მასობრივი განადგურების იარაღის ფარული წარმოებისათვის მზადება. პირველი პუნქტის ერთგულება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რას ვიგულისხმებთ სიტყვაში „ტერორიზმი". ირანი, მართალია, მხარს უჭერს ლიბანურ „ჰიზბულას", მაგრამ ეს უკანასკნელი თავს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად თვლის და არა ტერორისტულად. ადგილობრივი მასშტაბის უწესრიგობებში მონაწილეობა მაინც სხვაა, ვიდრე „ანტიამერიკული ინტერნაციონალური ტერორიზმის ხელშეწყობა", რასაც ირანს ბრალად სდებენ.

რაც შეეხება სახიფათო შეიარაღებათა ძიებას ირანის მიერ, ამაზე ამერიკელებს და ევროპელებს ერთი აზრი აქვთ. მას შემდეგ, რაც ერაყთან ომში რამდენიმე ასეული კაცი დაკარგა, კარგად შეიარაღებული მტრული ქვეყნებით გარშემორტყმულ ირანს ძალიან დიდი მისწრაფება აქვს, ასეთი იარაღები ჰქონდეს. მეორე მხრივ, ირანს ხელმოწერილი აქვს შეთანხმებებზე, რომ არ იქონიებს ბირთვულ, ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ იარაღს. ასე რომ, იგი ვერ გაექცევა, ადრე თუ გვიან, იძულებას, რომ ამ მიმართულებებით მყარ საერთაშორისო კონტროლს დაექვემდებაროს.

„THE ECONOMIST" ფიქრობს, რომ ყველაზე კარგი პოლიტიკა ირანის მიმართ იქნება ამერიკული და ევროპული მიდგომის კომბინაცია, ოღონდ იმ პირობით, რომ ამ ორს თავისი მოქმედება შეთანხმებული ექნება. ყველაზე დიდი „ჯილდო" ირანისათვის, თუკი იგი დასავლელებს დაეთანხმა, იქნება მასზე დღეს დადებული ეკონომიკური სანქციების მოხსნა ანუ მისთვის თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების საშუალების მიცემა. ეს ამერიკელების ხელშია. ირანის მოხსენიება „ბოროტების ღერძ" სახელმწიფოთა რიცხვში (ბუშის მიერ), თავისთავად, შეიძლება ირანელებისთვის გამომაფხიზლებელი სიგნალი იყოს, რომელიც მათ გონიერებისკენ მოუწოდებს. კარგი იქნება ხათამის ხელისუფლების გაძლიერებისათვის ხელის შეწყობაც. მართალია, ირანელები „დედის რევოლუციურ რძესთან ერთად" იწოვენ იმ აზრს, რომ ამერიკა „დიდი სატანაა", მაგრამ მათი მენტალიტეტის შეცვლა შეუძლებელი არაა.

# მეცნიერების ფასი - განათლებულ მსოფლიოში

საქართველოში მოწმენი ვართ, როგორ დევნის და ცხოვრებიდან აძევებს სახელმწიფო მეცნიერებას. მეცნიერებათა აკადემია, რომელმაც ასახა კიდეც და დიდწილად შექმნა კიდეც ქართველი ერის ძლიერი მისწრაფება ე. წ. ფუნდამენტური ცოდნისადმი, უკვე ერთ მესამედზე დაიყვანეს და ინტენსიურად აგრძელებენ მის „შემცირებასა" და დამცირებას. აქა-იქ უკვე ტრიალებს ბრძნული ფრაზა: ქვეყანას, რომელიც თავს ვერ ინახავს უცხოელთა გრანტებისა და დახმარებების გარეშე, მეცნიერების ქონა არც ეკუთვნისო. აზრისა და შემოქმედების ამ დევნის მიზანმიმართულად დივერსიულ ხასიათს საუცხოოდ ასურათხატებს ის ფაქტი, რომ აკადემიის ინსტიტუტებს არ ეუბნებიან, „რა ვქნათ, ფული არ გვაქვს და ეგებ, დროებით მაინც, ნაკლებ ხელფასებსა და ხარჯებს დასჯერდეთო", არამედ ბრძანებას აძლევენ „შეამცირეთ მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა, დაითხოვეთ სამსახურიდან თანამშრომელთა ათი პროცენტი, თხუთმეტი პროცენტი, კიდევ ხუთი, კიდევ ათი და ასე შემდეგ". ამ პოლიტიკის შორეულმა მგეგმავებმა, როგორც ჩანს, იციან, რომ მეცნიერი, რომელსაც ხელფასი ერთი ლარი აქვს და თვეში 29 დღეს სიგარეტს ყიდის, ერთ დღეს კი ამ ერთი ლარის მეცნიერული პროდუქციის შექმნას ანდომებს, მაინც მეცნიერად რჩება, ხოლო სამეცნიერო დაწესებულებებიდან „შემცირებული" თავს მეცნიერად ველარ თვლის და გაბოროტებით იძულებულია, თავისთავში ყველა მაღალი ინტელექტუალური მისწრაფება თვითვე ჩაახშოს. ამ ფონზე „საქართველოს" რედაქციამ მიზანშეწონილად ცნო, შემოკლებით გააცნოს თავის მკითხველს ერთი მოკლე ქებათა-ქება მეცნიერებისადმი ჟ. „THE ECONOMIST"-იდან — ერთი იმ დითირამბთაგანი ადამიანის მაძიებელი აზრისა და გენიისადმი, რომელსაც ფრიად და ფრიად მოუცლელი კაცობრიობა დროდადრო უძღვნის ხოლმე თავის ამ ყველაზე საამაყო ქმნილებას.

1969 წელს (თურმე) შეერთებული შტატების ახალდაარსებული ელემენტარულ ნაწილაკთა ლაბორატორიის (ფერმის ლაბორატორიის) პირველმა დირექტორმა რ. უილსონმა ასე უპასუხა კონგრესის შეკითხვას, თუ რას მისცემს ახალი ლაბორატორია ამერიკის თავდაცვას: „ამ ახალ ცოდნას უმჭიდროესი კავშირი აქვს პატივთანაც და ქვეყანასთანაც, მაგრამ მას არა აქვს არანაირი პირდაპირი კავშირი ჩვენი ქვეყნის დაცვასთან, გარდა იმისა, რომ გვეხმარება, ეს ქვეყანა უფრო დაცვის ღირსი გავხადოთ".

მეცნიერება — ჟურნალის სიტყვით — უცნაური ცხოველია. მას თავი ღრუბლებში აქვს, ფეხები კი მკვიდრად უდგას დედამიწაზე. ამიტომაცაა, რომ მან რევოლუციურად გარდაქმნა ადამიანის ცხოვრება ინტელექტუალური მიმართულებითაც და პრაქტიკულადაც. ის, რომ დღევანდელი ადამიანის გონებრივი პეიზაჟი დღეს ძირეულად სხვაა, ვიდრე ის, რაც იგი, ვთქვათ, ორასი წლის წინ იყო, ძირითადად, ორი დარგის მოაზროვნეთა მიღწევაა — ბუნებისმეტყველებისა (ზუსტი მეცნიერების წარმომადგენლებისა) და ეკონომისტებისა, რასაც ზედ ინჟინერთა მიღწევებიც უნდა დავამატოთ.

ზუსტი მეცნიერების მიერ შთაგონებულმა და აღძრულმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ ისევე მძლავრად გააუმჯობესა ადამიანთა ცხოვრების პირობები, როგორც მიწათმოქმედების შექმნა ნეოლითის ეპოქის დამლევს. მან ადამიანთა დიდი მასის მაგიდაზე პური დადო, ასე რომ მდიდარი მსოფლიოს მაცხოვრებელნი დღეს სილატაკედ იმ მდგომარეობას კი არ თვლიან, როცა ადამიანს საჭმელი არა აქვს, არამედ იმას, როცა მას შინ ტელევიზორი არა აქვს.

მაგრამ — „როგორც თქვა რწ[illegible]ენათა ერთ-ერთი ალტერნატიული სისტემის დამაარსებელმა" — ადამიანი მხოლოდ პურით არ ცოცხლობს, თუმცა აქ საუბარი უფრო ფაქიზ მონაპოვარს ეხება. ფაქტია, რომ ზუსტმა მეცნიერებამ ადამიანთა გონებრივი ჰორიზონტი გააფართოვა და იმათ, „რომელთა ასხენ თვალნი ხედვად", უფრო ნათელი წარმოდგენა მისცა იმაზე, თუ რაა ადამიანის ადგილი საგანთა კოსმოსურ წყობაში. მან დაგვანახა, რომ სამყარო ბევრად უფრო დიდია, ვიდრე დღეს ცოცხალ მრავალ ადამიანს ეგონა თავის ახალგაზრდობაში, და რომ, ყოველივე ამის ფონზე, სინამდვილის სტრუქტურა შეუდარებლად უფრო რთულია და, შესაბამისად, ადამიანის გაჩენისთვის აუცილებელი პირობებიც, რამაც კაცობრიობის შობა შესაძლებელი გახადა, შეუდარებლად უფრო უნიკალურია, ვიდრე მათ წარმოედგინათ. ეს პირობები დამოკიდებულია ნაწილაკებზე, რომლებიც წარმოუდგენლად მცირეა, და ისეთ ფიზიკურ კანონებზე, რომლებიც დანის პირზე ბალანსირებას ნიშნავს.

„ამგვარი ცოდნა ცხოვრებას როდი აადვილებს. ამიტომ უხეშად პრაქტიკულმა ადამიანებმა ადვილად შეიძლება იკითხონ, რატომ არიან მსოფლიოს გადასახადთა გადამხდელნი ვალდებულნი ამგვარი აღმოჩენებისთვის ფასი გაიღონ, მაგრამ ვისაც ღმერთი სწამს, ის, უთუოდ, საკმარისი პატივისცემით უნდა იყოს გამსჭვალული მისი ქმნილებისადმი, რათა მისი ადექვატური გაგება ეწადოს. ვისაც არ სწამს, იმაში კიდევ უფრო დიდი მოწიწების თრთოლვას უნდა აღძრავდეს ის, რომ სპონტანურად, თავისთავად გაჩნდა ისეთი ვრცელი, ძველი, რთული და საინტერესო რამ, როგორიც სამყაროა, და რომ მისი ევოლუციის შედეგად გავჩნდით არსებანი, რომელნიც მას ვჭვრეტთ და მის წარმოშობაზე ვმსჯელობთ. ასე რომ უილსონი მართალია: ისინი, ვინც ამგვარ ფუნდამენტურ კითხვებს ვიკვლევთ, დაცვის ღირსნი ვართ, რადგან რაა კაცობრიობა ცოდნის გარეშე?".





## „ბუშის პოლიტიკა ახალი არ არის"

ბუშის მძაფრი ყურადღება ტერორისტული საშიშროებებისადმი 11 სექტემბრის ტერაქტს არ გამოუწვევია. თვით მისი მოსვლა ხელისუფლებაში იმ პოზიციის საფუძველზე მოხდა, რომ ამერიკას ეს — და სწორედ ეს — საშიშროება ელის. მისი წინასწარ დაგეგმილი „რევოლუციური" ხაზი ისაა, რომ ახალი სტრატეგიული მიმართებები შექმნას: მკვეთრად შეამციროს (წაიკითხეთ: რუსეთსაც შეამცირებინოს) ბირთვული არსენალები და შექმნას საიმედო დაცვა „არამზადა სახელმწიფოების" შესაძლო დარტყმის წინააღმდეგ, რომელნიც უფრო და უფრო დიდი სამოქმედო რადიუსის მქონე რაკეტებს აშენებენ ან იძენენ. ამ პოლიტიკაში რუსეთს „უფრო და უფრო მეგობარი ქვეყნის" როლი ენიჭება ანუ იმ ქვეყნისა, რომელიც, ჯერ ერთი, ზემოხსენებულ შემცირებას ეთანხმება, მეორეც, ველარ ჩათვლის (ამ დამეგობრების წყალობით), რომ რაკეტსაწინააღმდეგო დაცვა მის რაკეტებსაც ეხება და არა მხოლოდ „არამზადა სახელმწიფოებისას". იმას, რომ ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ ამერიკას მართლაც სჭირდება დაცვის სისტემა, ბუზღუნით, მაგრამ მაინც დასთანხმდნენ მტრულად განწყობილი რუსებიც და სკეპტიკოსი ევროპელებიც. ხოლო ის, რომ იმ სამი ხსენებული „არამზადის" გარდა სხვა პოტენციური თავდამსხმელებიც არსებობენ, ყველას ესმის და ამიტომ ამერიკის პოლიტიკას ყველა, მეტ-ნაკლებად, გაგებით ჰხვდება. მიუხედავად მიმდინარე პოლიტიკის სწორედ ასეთი ხედვისა, ჟურნალი THE ECONOMIST მაინც ჯერ კიდევ შორეულ მიზნად თვლის იმის მიღწევას, რაც ბუშმა თავისი „იარაღთა კონტროლში განხორციელებული რევოლუციით" დაიწყო, და ამის მიზეზია არა ევროპელთა ბუზღუნი ბუშის უხეში ენის გამო (მათ თვითონაც ესმით, რომ ვითარების ბუშისეული შეფასება რეალისტურია), არამედ თვით ბუშის წინააღმდეგობრივი მიდგომა საქმის ზოგი მხარისადმი.

პირველ ყოვლისა, ბუშის ინიციატივით დათქმული ბირთვული ერთეულების ქვოტა (1700-2200 ოპერატიულად მზა ერთეული პლიუს ძალიან ბევრი კიდევ რეზერვში) ბევრად მეტია, ვიდრე სჭირდება გასათვალისწინებელ საშიშროებათა მოგერიებას, ჩინეთის მზარდი ბირთვული ძლიერების ჩათვლით. მეორეც, ბუშს უნდა, ამ შეთანხმებას არ ჰქონდეს მყარად ფორმალიზებული ხელშეკრულების სახე და ამერიკას შეეძლოს, მოულოდნელ გარემოებათა გაჩენის შემთხვევაში, თავისი არსენალის მოკლე დროში აღდგენა. ეს კი რუსეთს ასეთსავე შესაძლებლობებს უტოვებს და გაუგებრობათა შესაძლებლობაზეც რომ არაფერი ვთქვათ, სტრატეგიულ ხიფათს ამაღლებს. ამასთან ერთად, ბუშს არ აქვს დიდი სურვილი მონაწილეობისა ბირთვული გამოცდების აკრძალვის ხელშეკრულებაში, რომელსაც ამერიკამ ხელი მოაწერა ადრევე, მაგრამ რატიფიკაცია არ გაუკეთა, და ამაში იგი მართალია იმ მხრივ, რომ რაც უფრო ნაკლები რჩება ბირთვული იარაღი, მით უფრო მეტი სანდოობა მოეთხოვება მას. მაგრამ ამერიკული ბირთვული იარაღი დღესაც ყველაზე უფრო სანდოა მსოფლიოში და, გარდა ამისა, მისი ტესტირების (გამოცდის) მრავალი საშუალება მისი აფეთქების გარეშეც არსებობს. ასეთი სურვილი, რაც უნდა ბუნებრივი იყოს იგი, ანალოგიური სურვილის გამოთქმის საბაბს აძლევს მეორე მხარესაც. ასე რომ, ბუშის მიმართ გაჩენილია ეჭვი, ვინ იცის, მას ძველი ბირთვული იარაღები სულაც არ ენაღვლება, არამედ მას მხოლოდ ახლის შექმნა და გამოცდა აინტერესებსო. ბუნებრივია, რომ ბუშის უხალისობა ბირთვული გამოცდების აკრძალვის საქმეში წაახალისებს ბირთვული იარაღის მაძიებლებს და მისი ფარული წარმოების მგეგმავებს (ასეთნი კი მრავალნი არიან) და მათ მტკიცედ ჩამოუყალიბებს აზრს, რომ წარმატების მოპოვების საშუალება სხვა არა არსებობს რა, გარდა წარმატების მოპოვებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ობიექტური ინფორმაცია

# „დაქირავებულთა" სტატუსი მსოფლიოში. იგი სახიფათოდ იცვლება

დღეს მოქმედი საერთაშორისო ნორმები სხვადასხვაგვარად ექცევა „მოხალისე" მებრძოლს, ანუ იმას, ვინც უცხო ქვეყანაში მიდის რაღაცა სამართლიანი საქმის დასახმარებლად (ასეთი იყო, მაგალითად, ბაირონი საბერძნეთში და ნიკო ბაგრატიონი ტრანსვაალში) და „დაქირავებულ" მებრძოლს. პირველს იდეალისტის ერთ-ერთ სახეობად თვლიან, მეორეს — დაქირავებული მკვლელისად. ახლა ამ პოზიციის გადასინჯვის საკმაოდ სახიფათო ტენდენცია ისახება. ბრიტანეთის საგარეო მდივანმა ჯეკ სტროუმ ამ რამდენიმე თვის წინ გადაწყვიტა, რომ დაქირავებულთა ინსტიტუტი სულაც არაა ცუდი რამ და მათთვის შესაბამისი ზრდილობიანი სახელიც მოინახა: „კერძო სამხედრო კომპანიები". დღის წესრიგში დადგა მათი ლიცენზირების და, ზოგადად, მათი კანონმდებლობითი რეგულირების ფორმათა გამონახვის ამოცანა. ამ ინიციატივას, რომელიც ძნელად თუ ეფარდება ლეიბორისტული ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ „ეთიკურ საგარეო პოლიტიკას", დიდი პროტესტები მოჰყვა ოპოზიციის მხრიდან.

რაა ამ პოზიციის არგუმენტაცია და რა დგას მის უკან? „არგუმენტი" ისაა, რომ ახლა „მცირე ომებისა და სუსტი სახელმწიფოების" დროა, რის გამოც მადლია, რომ, უცხო თავდასხმის ან შინაგანი ამბოხების შემთხვევაში, რომელიც ხელისუფლებას ემუქრება, ამ უკანასკნელს შეეძლოს დაქირავებულთა მოხმობა (ასეთი სახელოვანი ოპერაცია ინგლისელი დაქირავებულების ბოლო ათწლეულთა ისტორიას მოეძებნება თავის არქივებში). ხოლო ძალა და საჭიროება, რომელიც ამ სიახლის უკან დგას, ის გახლავთ, რომ ინგლისელ პოლიტიკოსებს მწვავედ უდგას მსოფლიოს არაერთ წერტილში (პირველ ყოვლისა — აფრიკაში) სამხედრო ჩარევის აუცილებლობის საკითხი, მაგრამ ამავე დროს ჩარევა არ ძალუძთ, ჯერ ერთი, მათი სამხედრო ძალების მეტისმეტი „გაჭიმულობის" გამო, მეორეც, ხალხის პროტესტის გამო, რომელსაც არ ჰსურს, თავისი ჯარისკაცები სხვათა ომებში დაღუპული ნახოს. „დაქირავებულთა" ბედი მოსახლეობას არ ედარდება (ეს თვით ამ დაქირავებულთა პრობლემა გახლავთ). ხარჯი კი, ბუნებრივია, ნაწილობრივ მაინც იმ „სუსტ მთავრობებს" დააწვებათ, ვისაც სამხედრო დახმარება დასჭირდება.

მაგრამ ამ სიახლის უკან ერთი სხვა, ჯერჯერობით არხსენებული ძალაც დგას. თვით იმ „სუსტი სახელმწიფოების" არსებობა, როგორც მსოფლიოს სისტემის ერთ-ერთი ელემენტისა, რომელთა გადამრჩენადაც მოწოდებულნი არიან „დაქირავებულნი", კაცობრიობის ორგანიზაციის ის ფორმა გახლავთ, რომელსაც გლობალისტური ეკონომიკური პოლიტიკა საჭიროებს. თუ სახელმწიფოთა გაძლება-ვერგაძლების პროცესებიდან გამოირიცხა მათი საკუთარი ძალის ფაქტორი (და თუ ამ სახელმწიფოებმა, ამიტომ, საკუთარი ძალის შექმნაზე არც იფიქრეს), ეს მსოფლიო რუკას მთლიანად გახდის „დიდთა" მოტივირებული თუ არამოტივირებული „მოპრიანების" სათამაშოდ, რომელსაც მსოფლიო ბიზნესის ამწუთიერი ინტერესები განსაზღვრავენ.

## ნაზარბაევი შიშობს, მაგრამ იმედოვნებს

ნაზარბევის ოპოზიცია მოითხოვს იმას, რასაც პოსტსაბჭოური და რუსეთის იმპერიის მიერ მართული მასა ჩვეულებრივ ითხოვს ხოლმე: პრეზიდენტობის ნაცვლად საპარლამენტო რესპუბლიკის შემოღებას, ზედა ეშელონებში კორუფციასთან ბრძოლის რეალურ ფეხზე დაყენებას, ქალაქის მაგისტრატების არჩევითობას, მედიის ლიბერალიზაციას, დემოკრატიზაციას ზოგადად. თავდასხმის მნიშვნელოვანი საგანი, ნაზარბაევის კლანი და მისი ეკონომიკური ინტერესებია.

## ირანულ-ავღანური კავშირები

იმ დროს, როცა ავღანეთი თალიბების ხელთ იყო და, ფაქტობრივად, იზოლირებული იყო ამის გამო მთელი მსოფლიოსგან მუსლიმანური სამყაროს გარდა, მის ჭიშკარს, პაკისტანის პარალელურად, ირანიც წარმოადგენდა.




ძველთაძველი კულტურული ცენტრი ჰერატი, რომელიც ამჟამად ავღანეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, არა მხოლოდ სპარსული საქონლის გზაა, არამედ იაპონურისაც, ჩინურისაც და ევროპულისაც. აქედან ადვილად შემოდის და მიმდგომ ტერიტორიაზე ადვილად ვრცელდება ჰუმანიტარული ტვირთებიც, რომლებსაც დანარჩენ ავღანეთში საკმაოდ უჭირთ. ამ საკონტაქტო გზის განვითარებას, ისევე როგორც ავღანეთის ყველა სხვა კავშირების განვითარებას დასავლეთისკენ, სამხრეთისკენ და აღმოსავლეთისკენ, დიდი პერსპექტივა აქვს.

## ინგლისში არაფერი უკვირთ, მაგრამ ხელოვნების ფასი იციან

„თანამედროვე ხელოვნების" სახელს ათასობით უნიჭოები ეფარებიან, რომელთაც ხელოვნებაში გაუთვითცნობიერებელი „თაყვანისმცემლების" ათეულმილიონიანი აუდიტორია ჰყავთ. მათ გამოფენებსა და მათ განკარგულებაში მყოფ გალერეებს „უფრო ცირკების" რეპუტაცია აქვთ, „ვიდრე გალერეებისა", მაგრამ სამაგიეროდ მათ არ იციან, რა არის პუბლიკუმის ნაკლებობა მათს ღონისძიებებზე, პრესის დუმილი ან „პაბლისიტის" სიმწირე. ბრიტანეთის ტრადიციულად ტრადიციონალისტურ კულტურას თუ აქამდე მთელი პანთეონი ჰყავდა მოწამეებისა, რომელნიც იმის გამო დაზარალდნენ, რომ ახალ მიმართულებებს იცავდნენ ტრადიციულის პირისპირ, დღეს მდგომარეობა შეტრიალდა: მარტვილობა უფრო იმათ ემუქრებათ, ვინც ტრადიციულის დაცვას ბედავს ხელოვნების მართლაც ხელოვნებისეული ფორმების უარმყოფელი და უგულებელმყოფელი მრავალათეულმილიონიანი ჯოგის პირისპირ.



პროგრესული ხელოვნების ნიმუში: იმპერატორის ლოგინი.

ერთი წარმატებული ბრიტანელი ბიზნესმენი, ივან მასოვი ამ ცოტა ხნის წინ ემსხვერპლა თავის ერთგულებას ხელოვნების ტრადიციული ფორმების მიმართ. მან გაბედა და ჟურნალში დაწერა, ინგლისში დღეს დიდად პოპულარული „კონცეპტუალური ხელოვნების" სკოლა სხვა არა არის რა, თუ არ „პრეტენზიული, თავდაჯერებული, ხელობას ვერდაუფლებული არშიევის ქსოვაო" და ამ სკოლის გავრცელება და როლი თანამედროვე ინგლისში დაახლოებით იგივეა, რაც „სოციალისტური რეალიზმის" ბატონობა იყო საბჭოთა კავშირშიო. თუმცა ამ კაცის შეხედულება, რომ ხელოვნებაში „იდეების უფრო მაღლა დაყენება, ვიდრე არტისტული შესრულებისა, მხოლოდ საფარველია ტალანტის უქონლობისათვის", ზუსტად ემთხვევა ხელოვნებაში ჩახედულ ინგლისელთა — დიდი უმრავლესობისას, მას წასვლა მოუხდა თავისი საპატიო პოსტიდან საზოგადოებაში, რომელიც თანამედროვე ხელოვნების მოყვარულებს აერთიანებს.

## ამერიკულ-ჩინური მცირე დავა

ორი წლის წინ ჩინურმა ოფიციალურმა პრესამ განაცხადა, დროა ჩვენ, ჩინელებმა, ჩვენი ხელით შევიქმნათ „საჰაერო ძალების №1 მანქანაო". ასეთი წოდება აქვს თვითმფრინავს, რომლითაც სახელმწიფოს მეთაური მოგზაურობს. საქმე ის გახლავთ, რომ თანამედროვე ბოინგზე, რომელიც ჩინელებმა ამ საპატიო მიზნისათვის შეისყიდეს, მოსასმენ-გადამცემი აპარატურა აღმოჩნდა და ჩინელები იძულებულნი გახდნენ ეგლიჯათ და ეგლიჯათ სალონის კედლებში დამონტაჟებული მრავალგვარი დანიშნულების ხელსაწყოები, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ იქ „ხოჭოები" აღარ დარჩა. დარჩა თუ არა, არ ვიცით, მაგრამ ჩინელმა სამხედრო ანალიტიკოსმა განაცხადა, რომ ამ ოპერაციების შედეგად თვითმფრინავი გამოუსადეგარი გახდა.

ორივე მხარემ საჭიროდ ჩათვალა მაქსიმალურად დაემალა ან შეერბილებინა მომხდარი, რადგან ამერიკელებიც და ჩინელებიც დაინტერესებულნი არიან კეთილ ურთიერთობათა განვითარებაში ამ დღევანდელსა და ხვალინდელ ორ სუპერძალას შორის. ჩინური პრაქტიკა თავისი პირველი პირის მოგზაურობათა პრობლემის მოგვარებისა — ჩვეულებრივი კომერციული სამგზავრო თვითმფრინავის დაქირავება, მისი გადაკეთება ახალი მიზნისათვის და შემდეგ მისთვის ისევ პირვანდელი სახის მიცემა — არ აკმაყოფილებს ზოგი ჩინელი მოქალაქის თავმოყვარეობას. ასევე არ მოსწონთ მათ არც „სამხედრო-საჰაერო ძალების №1 მანქანის" ამერიკელებისაგან ყიდვის და არც მისთვის ამ აგრეთვე ამერიკული წარმოშობის „ტიტულის" მინიჭების ფაქტი. ჩინელმა საზოგადოებამ არ იცის (ბუნებრივი ინტერესის მიუხედავად), როდის დაიდგა „№1"-ის სალონში ზემოხსენებული მოსასმენი აპარატურა, ვის მიერ დაიდგა იგი და როგორ გახდა ცნობილი მისი არსებობა. ეს არც აშშ-ის საზოგადოებრიობამ იცის. არსებობს ვერსია, რომ პირველი ცნობა მის შესახებ ჩინელებს ამერიკელმა მიაწოდა.

ჩინეთის უშიშროების სამსახურებს, ბუნებრივია, მომხდარის გამო ჩრდილი ადგება. არაერთი ოფიცერი დაიკითხა. მაგრამ მრავალრიცხოვან ვერსიათა შორის ერთი ფრიად უცნაურიც ტრიალებს: „ხოჭოები" თვით ჩინელებმა ჩააყენესო. საქმე ის გახლავთ, რომ, მაო ძე დუნის პირადი ექიმის ცნობით (რომელიც მან თავის მოგონებებში შეიტანა), მაო ძე დუნის სამყოფელში, მის პირად რკინიგზის ვაგონში, მის სტუმრების მისაღებ ოთახებში და ა. შ. „ხოჭოებს" მისივე თანამებრძოლები აყენებდნენ, რათა თავი და ქვეყანა დაეცვათ უკვდავი „თავმჯდომარის" მეტისმეტად ჭირვეული პოლიტიკის მოულოდნელობათაგან. მართალია, მაოსებრი „პარანოიული" (გიჟური) პოლიტიკა ჩინეთის სინამდვილიდან კარგა ხანია, რაც გამქრალია, მაგრამ მისი მეორე თვისება — მისი უკიდურესი ფარულობა და გასაიდუმლოებულობა — დღესაც ძალაშია, ასე რომ ქვეყნის მეორე, მესამე და მომდევნო პირებს უსათუოდ სჭირდებათ იმის ცოდნა, თუ რას ფიქრობს ან რა გუნებაზეა პირველი პირი, რომელსაც ხელი სახელმწიფო საჭეზე უდევს.

## რუსეთის არხები. ვისია და რას იძლევა?

ჟურნალი THE ECONOMIST ჩამოთვლის რუსეთის ძირითად მედიას, რომლებიც მის საინფორმაციო ბაზარს ფლობენ, და ასახელებს სავარაუდოდ, რომელი მათგანი მუშაობს მოგებაზე. ათიდან შვიდზე ნათქვამია, „ვერ ვიტყვით", რომ შემოსავალს იძლევაო. ერთზე ნათქვამია, „არა გვგონია" და ერთზე — მომავალში მოელისო. ათიდან სამის პატრონია სახელმწიფო, ორისა — „არ ვიცითო", ერთისა — „ბერეზოვსკი და სხვანი", ერთისა — „გორბაჩოვი და სხვანი", ერთისა — „უცხოელები", ერთისა — „ჟურნალისტები", ერთისა (რადიო „თავისუფლებისა") — „ამერიკა".

# „არამზადა — ბიზნესმენის" სახე ამერიკაში. მართლაც „მწიფდება" იგი?

ამერიკაშიც (ისევე, როგორც სხვაგან მსოფლიოში) დროდადრო სკანდლებით „სკდება" დიდი კომპანიები, დღის სინათლეზე გამოდის თაღლითობისა და კორუფციის დიდმასშტაბიანი ფაქტები, არამზადდებიან მანამდე შურისაღმძვრელი ბიზნესმენები. ერთი უკანასკნელ შემთხვევათაგანია ის, რაც სანავთობე ფირმას „ენრონს" შეემთხვა არც თუ დიდი ხნის წინ. უდავო ფაქტია, რომ ამერიკაში არსებობს უნდობელი და ანტიპათიური დამოკიდებულება ბიზნესმენისადმი. მაგრამ რა მასშტაბი და რა როლი შეიძლება ეკუთვნოდეს მას ქვეყანაში, სადაც დიდი კომპანიების ფინანსური მექანიზმების აღმწერი წიგნები ბესტ-სელერებია, სადაც წარმატებული ბიზნესმენები უფრო ხშირად ჩნდებიან ჟურნალების ყდებზე, ვიდრე ცნობილი მომღერალი მადონა და „სოფტვეირის" (საკომპიუტერო პროგრამების) მეფე ბილ გეიტსი უფრო პოპულარულია, ვიდრე რიგითი ქვეყნის პრეზიდენტი?

ზოგადი სურათია (THE ECONOMIST-ის ავტორის ლექსინგტონის სიტყვით): ანტიკორპორაციული სულისკვეთება დიდი ხანია მწიფდება. ბიზნესისადმი სულწალებული სიყვარული და მისდამი მწარე სიძულვილი ამერიკელებში ერთმანეთს როდი ენაცვლება დროის მიხედვით. ეს ორი გრძნობა მათში თანაარსებობს ერთსა და იმავე დროს და მათ ფოკუსშია ორი რამ.

პირველია თანასწორობის საკითხი. ამერიკელები მშვიდად ურიგდებიან უთანასწორობას (მაგ., იმას, რომ იერარქიულად აწყობილ ბიზნესში ზედაფენებს ასჯერ დიდი ხელფასები აქვთ, ვიდრე ქვედებს) მხოლოდ მანამდე, სანამ ეს დამსახურების (ანუ რეალური შრომითი წვლილის) შესაბამისი ჰგონიათ, და ყალყზე დგებიან, თუკი იყნოსეს, რომ სამართლიანობა დაირღვა.

მეორეა ფირმების განუხრელად მზარდი სიდიდე. იგი ამერიკელებს აღიზიანებს და აშინებს, რადგან გასრესას უქადის მცირე და საშუალო ბიზნესს. დიდ ფირმასთან მასაც და ინდივიდიც მცირდება და უძლურდება. კომპანიების ზრდა ემუქრება „კონტროლისა და ბალანსის" პრინციპს. ამერიკაში დიდი ეკონომიკური კრიზისების დროსაც კი არ გაჩენილა მიდრეკილება სოციალიზმისკენ. გამწარება დიდი და ულმობელი ბიზნესის მიმართ იქ გამოიხატა (და გამოიხატება) ანტიკორპორაციული ანტიმონოპოლისტური პოლიტიკისა და კანონმდებლობის მოთხოვნაში, რაც არსებული სისტემის პირობებშიც საკუთარი თავის, როგორც მშრომელისა და პოტენციური მცირე ან საშუალო ბიზნესმენის, დაცვას გულისხმობს.

## შიდა ემიგრაცია დიდ ბრიტანეთში

ამ ბოლო წლებში ძალიან გაძლიერდა მთიან შოტლანდიაში ბარის მაცხოვრებლების, პირველ რიგში — ინგლისელების და არა შოტლანდიელების — დასახლების პროცესი. მათ ხიბლავს ბუნება, ცხოვრების მარტივი პირობები, საცხოვრებელ სახლთა და ნაკვეთთა სიიაფე (ჯერჯერობით). თუ ამ მაღლობი რეგიონიდან ადგილობრივთა უწყვეტი ემიგრაციის შედეგად მისი მოსახლეობა სულ 320 ათასზე იყო დასული, დღევანდელი იმიგრაციული პროცესის შედეგად მან სტაბილური ზრდა დაიწყო. გამოცოცხლდა ეკონომიკა (ძირითადად, დამსვენებელთა მილების შედეგად). თუმცა მიგრაციის, როგორც მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლის მიზეზის, პრობლემა აქტუალობისთვის უცხობი არაა, ამჟამად ინგლისელების ახალი ტალღა დიდ ანტაგონიზმს არ იწვევს.

## განათლება

# „სწავლა-მოსწავლეთა"

## განათლების მინისტრისა და ცალკეული სკოლების საყურადღებოდ

*მას შემდეგ, რაც დამწერლობა შეიქმნა, კაცობრიობის ერთ-ერთ დღემდე მოუგვარებელ პრობლემად იქცა სწავლა-განათლების საქმე. დარწმუნებული ვარ, რაც დღეს ხდება სასწავლო დაწესებულებებში (მსოფლიო მასშტაბით), ანალოგიური იქნებოდა გასული საუკუნეების მდგომარეობასთან. ამაში მე დამარწმუნა მეოცე და ორი წლის წინ დამდგარი ოცდამეერთე საუკუნეების იდენტურობამ განათლების დარგში. მაშ, ასე: ჩემი წარმოდგენით, ყველა საუკუნეში იყვნენ ბრწყინვალე პედაგოგები (და არა მასწავლებლები) და ასევე წარჩინებული მოსწავლეები. იყვნენ საშუალოები, ცუდები და ძალიან ცუდები.*

იყვნენ მექრთამე, მექალთანე და მეძავი მასწავლებლები და იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ჩემი თაობის, ანუ მეოცე საუკუნეში დაბადებულ-დაბერებული ხალხისთვის ღმერთის მიერ მოვლენილ წმინდანებად მიგვაჩნდნენ, რომლებიც არც ჭამდნენ, არც სვამდნენ, არც ტუალეტში შედიოდნენ და, რა თქმა უნდა, უსექსოდ, ანუ დაყოფით მრავლდებოდნენ.

იმას რა დამავიწყებს, დერეფანში მასწავლებელი რომ გაივლიდა, ჩვენ კედელზე ზურგით მიკრულები ვაყოლებდით თვალს. გაკვეთილზე იდეალური სიჩუმე იყო, როგორც იტყვიან, ბუზის ბზუილს გაიგონებდი. რა თქმა უნდა, იყვნენ ამრევი და მოხულიგნო ბავშვებიც, რომლებსაც არც ცუდი ნიშნები აკლდათ და არც ყურების დაგრძელება.

გადიოდა დრო და იცვლებოდა თანდათან სწავლების ხარისხიც, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ზნეობაც და თავისთავად ცხადია, სკოლადამთავრებულთა ცოდნის დონეც. თუ ჩემი მოსწავლეობის პერიოდში მხოლოდ სკოლაში მიღებული ცოდნა ჰყოფნიდა მისაღები გამოცდების ჩაბარებას, შემდგომ პერიოდში რეპეტიტორის გარეშე წარმოუდგენელი გახდა უმაღლეს სასწავლებელში მოწყობა. და ეს განაპირობა ყველაფერმა ერთად, რაც ზემოთ ჩამოვთვალე.

შეიძლება ვიღაც-ვიღაცეებმა დამცინონ და მასხრად ამიგდონ, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რაც სისაძაგლეები მოხდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, იოსებ სტალინის გარდაცვალებას მოჰყვა.

კი ბატონო, ხალხს ეშინოდა და ამიტომ იყო წესრიგი ყველა სფეროში და მათ შორის განათლების სისტემაში. რომელი ჭკუათმყოფელი მასწავლებელი გაბედავდა ქრთამის აღებას, გაკვეთილის უხარისხოდ ჩატარებას, ან გაცდენას. ეს ხომ წარმოუდგენელი იყო! როგორც სახელმწიფო ჰგავდა სახელმწიფოს, ისე სასწავლო დაწესებულებებიც ჰგავდნენ მექას. მე ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ სახელმწიფოს სათავეში მკაცრი, ოღონდ სამართლიანი პიროვნება არ ზის, არც სკოლა იქნება თავის დონეზე და არც მეცხოველეობის ფერმა.

არ გაინტერესებთ?! — მიბრძანდით ნებისმიერ სკოლაში და გაკვეთილის მსვლელობის დროს მიაყურადეთ, რა ხდება კლასებში. ერთი ბავშვის ჩანაწერი წავიკითხე, გაკვეთილის

# როგორ გაიხადა მასწავლებელმა მე-9 კლასელი ბიჭი საყვარლად

მსვლელობის პერიოდში ჩაწერილი და კინაღამ გული შემიღონდა. აი, ისიც:

„რა ამბავია ბავშვებო? — დასხედით ადგილზე! — ცოტასაც ვითამაშებთ, რა, მარგო მასწ, — რა უნდა ითამაშოთ, ბუცხრიკიძე, შენ მოუკვდი დედაშენს, აქ შენ სათამაშოდ ხარ მოსული თუ სწავლა-განათლების მისაღებად?! — ჯღარკავა, დაეგდე ადგილზე და მოწესრიგდი! — სიტყვები შეარჩიე მასწ. თორემ მე გიჩვენებ, როგორ უნდა ლანძღვა — ბავშვებო დაწყნარდით! — თქვენს პატრონს, უბედურს, რა გამოვა თქვენგან ახლავე გეტყობათ. ქვაჩახიძე, ხვალ დედას მოიყვან, ისე არ დაგინახონ ჩემმა თვალებმა!" ერთი სიტყვით, მთელი 45 წუთის განმავლობაში რაღაც ყოფილა გაკვეთილზე. როგორც ჩანაწერიდან ჩანს, გაკვეთილის დამთავრების შემდეგ მასწავლებელმა მხოლოდ სათაური და გვერდები ჩააწერინა სასწავლო მასალისა და რაც მთავარია, შეახსენა: „სწავლის ქრა არ დაგავიწყდეთ, თორემ არ დაგიშვებთ გაკვეთილზე!" აი, ასე, ჩემო ძვირფასებო, მოკლედ, იმ ერთი გაკვეთილის შესახებ, რისი ჩანაწერიც მეცხრე კლასელმა მოსწავლემ გააკეთა.

ახლა კი მინდა გაგაცნოთ გასული საუკუნის ერთ-ერთი „შედევრი", რომელიც 1983 წლის 29 იანვრით არის დათარიღებული და მეშვიდე კლასის მოსწავლეს (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, ვინაიდან, ხომ შეიძლება, დღეს მთავრობის, ან პარლამენტის წარმომადგენელი იყოს, ან სულაც პოლიციელი! — მითუმეტეს!) საკონტროლო წერის გაკვეთილზე შეუქმნია. მოგვყავს ტექსტის „თარგმანიც" და ასლიც, რომელსაც თითქმის ოცი წელია ვინახავ, რომ შევუნარჩუნო ქართველ ერს, როგორც „უძვირფასესი საგანძური". აი ისიც:

სპირიდონ მცირიშვილი
29/183

## „თავისუფალი" თემა ეგნატე ნინოშვილის შესახებ


სპირიდონ მცირიშვილი 29/183

(ეგნატო ეგნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდი" მიხედვით)

**ეგნატე ნონეშვილი იყო გამორჩილი (იგივეა რაც გამოჩენილი) მწერალი იყო მან დაწერა (იგივეა რაც დაწერა) ეარალი (ანუ მრავალი) ლექსები და მოთხრობები შესანიშავი (ანუ შესანიშნავი) მოთხრობიდან ერთ-ერთი მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდი".**

**ის დაიბადა გლეხის ოჯახში ვაგრამ (ე. ი. მაგრამ) ეგნატე ნონეშვილი სნავლობდა (ანუ სწავლობდა) სკოლაში მასწავლებეთან მასწავლებერი იყო მაგრამ ეგნატე ნონეშვილის სპირიდონი სწავლობდა სკოლაში, მაგრამ სპირიდონა იყო კარგი ბავშვი და ლამაზი იყო სპირიდონი სნავლაში (ე. ი. სწავლაში) დიდ ნიჭ იჩენდა სპირიდონა გაგზავნეს თფილიში რომ გაეურძელეჭინა (ე. ი. გაეგრძელებინა) სკოლა მაგრამ სპირიდონა ჩააბარა სასნავლებელში (ანუ სასწავლებელში) მაგრამ სპირიდონა ჩავიდა სოფელში სპირიდონი დადგა იეოჭამრივეთ (ე. ი. მოჯამაგირედ) დააყენეს სპირიდონა იყო გაენტარი (ანუ გამხდარი) სუსტიტ (სუსტი) და ეალალი (ე. ი. მაღალი) იყო მაგრამ რომ დაინყო (ე. ი. დაიწყო) მუხაობა (ანუ მუშაობა) სპირიდონე (სპირიდონამ) უეირთო (შეირთო) დოლი (ე. ი. ცოლი) დესპირე და სპირიდონა როდესაც სპირდინო და მისი დესპინე სპირიდონა იყო გამხდარი და ავათყოფნი იყო სპირიდონა დასპირე გაყვა სპირიდონოას იყო ოცი ოცდა ხუთი წლის იქნებოდა სპირიდონა დესპირე იყო იყო ლამაზი ქალი (კოხტა და) იყო დესპირე დესპირე სპირიდონა იყო განათლებური კაი ადამიანი იყო და დესპირე იყო განატული (ეს ან სომხურია, ან ასირიული) ადამეანი იყო მაგრამ სპირიდონა უთხრა სპირიდონას რომ ნავიდეთ (ე. ი. წავიდეთ) სახლი ვიყიდოთ და წავიდნენ".**

* * *

მე ხომ დავისვენე, წერტილი რომ დავსვი და წარმოდგენილი მაქვს იმ „გენიოსის" სახე, ვინც ეს შედევრი შექმნა, როგორი გაბადრული სახით ეტყოდა მასწავლებელს: „დავამთავრე მასწ!" — არ ვიცი, იმ მასწავლებლის რეაქცია იმ წუთში როგორი იყო, მაგრამ ადვილად შემიძლია დავადგინო, ვინაიდან იმ მასწავლებელმა გადმომცა ეს „ნაშრომი".

დოკუმენტურობის მიზნით, ვბეჭდავთ ამ ნაწარმოების ქსეროასლს: (იხ. ამავე გვერდზე).

* * *

მინაწერი: რა ვქნა?! — ენა რომ ამომგლეჯელი-ტონ მარწუხით, მაინც მგონია, რომ ამ „საკონტროლო წერის" ავტორის მსგავსნი მრავლად იქნებიან ჩვენი მთავრობის, პარლამენტისა და პოლიციის წარმომადგენელთა შორის, რომელთა განათლებისა და ელემენტარული კულტურის დონე ვერ გასცდა სკოლაში უშედეგოდ გატარებული წლების დონეს. ასე რომ არ იყოს, არც ქვეყანა იქნებოდა ზნეობრივად და ფიზიკურად გაძარცული, არც ერთმანეთს მიაყენებდნენ შეურაცხყოფას (მათ შორის ფიზიკურს) პარლამენტის სხდომების მიმდინარეობისას, არც პოლიციელები გაუსწორდებოდნენ ექვმიტანილებს წიხლებით, ხელკეტებით და წამების სხვა საშუალებებით, არც კორუფცია იქნებოდა ზენიტში!

* * *

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ გაიხადა მასწავლებელმა მეცხრეკლასელი ბიჭი საყვარლად.

წინასწარ გაფრთხილებთ, ვინც ნერვულ სისტემას ან გულის დაავადებებს უჩივით, უმჯობესია სკოლის ცხოვრების ეს მოკლე, მაგრამ მძაფრსიუჟეტიანი ეპიზოდი არ წაიკითხოთ. არც თექვსმეტ კილოგრამამდე ბავშვებს ვურჩევთ მის წაკითხვას. რაც შეეხება განათლების მინისტრს, მის მოადგილეებს, სკოლების დირექტორებს და პედაგოგიურ პერსონალს, მათთვის ეს ეპიზოდი შესანიშნავი პროფილაქტიკური საშუალება იქნება. ამბავი, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, არც ზღაპარია და არც ჩემს მიერ შეთითხნილი ჭორი. მიუხედავად იმისა, რომ მასალა დოკუმენტურია, არ ვაპირებ არც სკოლის, არც „შეყვარებული წყვილის" გვარსახელების და არც პერიოდის მინიშნებას, რადგან ზოგიერთი ადამიანის ცხოველური ბუნებიდან გამომდინარე, მსგავსი სისაძაგლე შეიძლება ნებისმიერ სკოლაში და ნებისმიერ პერიოდში მოხდეს. რაც შეეხება სექსპარტნიორების გვარებს, მე შევეცადე შესაბამისი გვარ-სახელი მიმენიჭებინა და , აკი შევუთითხნე კიდეც.

მაშ ასე, კლასის დამრიგებლის, ანუ იგივე „სექსის მასწავლებლის" გვარ-სახელი ასე ავაულერე — ძუკნა ბოზანდარაშვილი, ხოლო „წარჩინებული" მოსწავლისა — კუტა კუტუბიძე.

# გვარსა და სახელს შეგნებულად არ ვასახელებ, შეიძლება ის მოსწავლე დღეს პარლამენტარია ან პოლიციელი

ჰოდა, თბილისის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა ქალბატონი ძუკნა ბოზანდარაშვილი, რომელიც გაკვეთილზე რომელიღაც საგანს ასწავლიდა, ხოლო როგორც კლასგარეშე „სამუშაოს" — სექსს. ქალბატონ ძუკნას თვალში მოუვიდა მეცხრე კლასელი, ფიზიკურად კარგად განვითარებული, გონებრივად არც ისე ბრწყინვალე მოსწავლე კუტა კუტუბიძე და შესთავაზა დამატებითი გაკვეთილის ჩატარება თავის ბინაში, სადაც იგი მარტოსული ცხოვრობდა. სიამოვნებით დაეთანხმა კუტა კუტუბიძე და აკი არც მოტყუვდა.

ერთ მშვენიერ მაისის საღამოს, როცა ქალბატონ ძუკნას ბაღში ბულბულები უსტვენდნენ, ძუკნამაც „დაუსტვინა" და მოსწავლეს უთხრა: — კუტუნია, გუშინ ისეთი კარგი საბანაო კოსტუმი ვიყიდე, გაგიჟდები რომ ნახო, არ გინდა, გაჩვენო?! — მოსწავლეს ოღონდ გაკვეთილი არ უხსენო და რაც გინდა აჩვენე, უარს როგორ იყვის, და კუტამაც შესძახა:

— როგორ არ მინდა, მასწ. მაჩვენეთ რა! „პედაგოგი" გავიდა მეორე ოთახში, კოსტიუმი ჩაიცვა და ისე გამოეცხადა „შეგირდს"!

— როგორია, მოგწონს ჩემი კოსტიუმი? — გაღიმებული სახით შეეკითხა მოსწავლეს. კუტუნიას ჯერ თვალთ დაუბნელდა, მერე უცებ გონება და თვალები ერთად გაუნათდა, კოსტიუმისათვის არც მიუქცევია ყურადღება, კლასის დამრიგებლის გათქვირებული სხეულის შიშველ ნაწილებს მოავლო თვალი და გაოცებულმა რაღაც ღმუილის მსგავსი ხმა ამოუშვა ყელიდან:

— ვაა, რა სექსი ხართ, მასწ?! — სექსპედაგოგი არ შემცდარა არჩევანში და იმ დღიდან დაიწყო თაფლობის გაკვეთილები. დაიწყო და ალბათ დიდხანს არც დამთავრდებოდა, რომ არა კლასში, ნაღდი გაკვეთილის დროს მომხდარი მცირე ინციდენტი.

კუტუნია კუტუბიძე პირისახით უკან შებრუნებული კლასელს რაღაცას უყვებოდა. ის კლასელი ისეთი ყურადღებით უსმენდა თანაკლასელს, რომ „პედაგოგი" დაეჭვდა, „კლასგარეშე მეცადინეობაზე" ხომ არ უყვება რამესო და საკმაოდ მკაცრად დაუყვირა კუტუბიძეს:

— კუტუბიძე, სასწრაფოდ შემობრუნდი და დამიგდე ყური, თორემ გაგაგდებ გარეთ! — კუტუნია შებრუნდა მასწავლებლისაკენ და... მტერს, რაც მან „დამრიგებელ" პედაგოგს აკადრა მთელი კლასის გასაგონად"

— წადი, შენი ბოზი დედაც გავაბახეთ! — და გაოგნდა მთელი კლასი. ალმურმოდებული „პედგოგი" ენაგადაყლაპულივით იდგა და... ალბათ გულში ფიქრობდა: ნეტავ ენა გამხმობოდა და ხმა არ ამომეღოო, მაგრამ საქმეს რაღა ეშველებოდა. იმ დღიდან გავრცელდა ეს ამბავი ჯერ 40-45 მოსწავლის ოჯახებში, მერე მათ ნაცნობ-მეგობრებში და, ალბათ, ნახევარ ქალაქში. მაგრამ დღესაც არ ვიცი, შეიტყო თუ არა ამის შესახებ განათლების სამინისტრომ. მე მგონი, ვერ შეიტყობდნენ, რადგან ქალბატონი ძუკნა ბოზანდარაშვილი ჩუმად გააპარეს სკოლიდან.

ასე ტრაგიკულად დამთავრდა საბანაო კოსტიუმის „პოდიუმზე" ჩვენებით დაწყებული და „სიყვარულის ზენიტამდე" ასული საქმე.

აი, იმის მაგალითი, როგორ არ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი მასწავლებელს და მოსწავლეს!

**ნიკოლოზ იოსებიძე**

## წინასწარმეტყველება

# ფსკოვო-პეჩორის მონასტრის ხატებიდან მირონდენა დიდ ომს მოასწავებს

**ინტერვიუ თავთა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურთან მამა თეოდორე გიგნაძესთან**

**— მამაო, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, რუსეთში, ფსკოვო-პეჩორის მონასტერში, წმიდა ხატებიდან დაიწყო დიდი რაოდენობით მირონისა და სურნელოვანი წყლის დენა. რას ნიშნავს ეს სასწაულებრივი მოვლენა?**

— სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სულისათა.

ეს სასწაულებრივი მირონდენა ხდება არა მონასტერში, არამედ დეკანოზ მამა ვასილის სახლში. იგი 90 წელს მიღწეული მოძღვარია. ერისკაცობაში მისი მოძღვარი იყო წმიდა სერაფიმე ვირიცკელი, ახლადკანონიზებული წმინდანი, რომელიც 1949 წელს გარდაიცვალა. შემდგომში მამა ვასილის მოძღვარი იყო სვიმონ პეჩორელი (ჟელინი), რომლის კანონიზების საკითხიც ამჟამად დგას. ანუ, მამა ვასილი აღიზარდა დიდი სულიერების მქონე მოძღვრების ხელში და მასაც უდიდესი სულიერი გამოცდილება აქვს. მე მქონდა ბედნიერება, გარკვეული დროით მასთან მეცხოვრა, და როდესაც თბილისში დავბრუნდი, ტელეფონით დამიკავშირდნენ და შემატყობინეს მამა ვასილის სახლში წმიდა ხატებიდან დიდი რაოდენობით მირონდენის ამბავი.

პეჩორაში ჩავიდნენ ჩემი სულიერი შვილები, ნინო და თეონა, შემატყობინეს, მირონდენა იმდენად უხვია, რომ მათი შესანახი ჭურჭელიც კი აღარ ქვთ, იატაკზე დაღვრილ მირონსა და სურნელოვან წყალში ფეხებით დადიან. ორმოც ამოთხარეს, რომ ნაწილი სიწმინდეები ჩამარხონ და ამით ისინი უნებლიე უღიერი მოპყრობისაგან დაიცვანო.

თავად თეონამ თავისი გულსაკიდი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი „შენ ხარ ვენახი“ მირონმდინარე ხატებთან და ჯვრებთან ერთად მაგიდაზე დადო და მალე მისგანაც დაიწყო მირონდენა. იგი ჯერ ღრმა თეფშში ჩაასვენეს და სურნელოვანმა მირონმა იგი სულ რამდენიმე წუთში აავსო, შემდეგ უფრო ღრმა ჭურჭელში, მერე ქვაბში და ა.შ. მთლიანობაში ამ 15 მილიმეტრის სიგრძის გულსაკიდი ხატიდან 33 ლიტრი მირონი და სურნელოვანი წყალი გადმოვიდა. მირონდენა არ ხდებოდა, როდესაც მას სხვები უყურებდნენ. საკმარისი იყო გვერდით ოთახში სატრაპეზოდ, სალოცავად ან სხვა საქმის საკეთებლად გასვლა, რომ ამ პატარა ხატიდან გამოსული მირონითა და სურნელოვანი წყლით ჭურჭელი სულ რამდენიმე წუთში ივსებოდა.

ასევე უამრავი მირონი მოედინება ჩემს მიერ მანამდე მამა ვასილისთან ჩატანილი ლამინირებული ხატებიდანაც, ისევე, როგორც ამ მოძღვრის სახლში დასვენებული ყველა წმიდა ხატიდან და ჯვრიდან. ერთხელ უფალმა ინება და დაანახვა მამა ვასილისთან მყოფთ, თუ როგორ გადმოედინებოდა ასეთი დიდი რაოდენობით სიწმიდეები. მაშინ, როდესაც ერთად ტრაპეზობდნენ, გვერდით ოთახიდან მოესმათ დიდი ნაკადით მომავალი წყლის ჩხრიალი. შეიხედეს იმ ოთახში და ნახეს, რომ კედელზე დაკიდებული ხატიდან მოჩქეფდა სურნელოვანი წყალი. ზოგმა იფიქრა, ხატის უკან კედელში წყალგაყვანილობის მილი ხომ არ გასკდაო და იქაც შეიხედა, მაგრამ კედელი მშრალი იყო და ეს სურნელოვანი წყლის მჩქეფარი ნაკადი სწორედ ხატიდან მოედინებოდა.

როდესაც ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გაიგო, განცვიფრდა, ყურადღებით მოგვისმინა და მამა ვასილი საქართველოში მოიწვია. თავად მამა ვასილისაც სურს ჩვენთან ჩამობრძანება, და თუ ღმერთი ინებებს, უსათუოდ ჩამოვა.



**— რას უნდა ნიშნავდეს წმიდა ხატებიდან და ჯვრებიდან ასეთი დიდი რაოდენობით მირონისა და სურნელოვანი წყლის გადმოდინება?**

— ეს კითხვა მეც დავუსვი მას. სანამ ხატებიდან ეს მირონდენა დაიწყებოდა, მან მითხრა, რომ დიდი ომია მოსალოდნელიო. ამერიკა განადგურდება, როგორც სახელმწიფო. იაპონიის მხრიდან მას ორი ატომური ბომბი მოხვდებაო. ეს ამ მოძღვრის პირადი აზრია, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი ტყუილუბრალოდ არაფერს ლაპარაკობს, თანაც ამ მადლმოსილი მამის მიერ სხვა უამრავი სასწაულებიც აღესრულება და მისი სიტყვები უსათუოდ ანგარიშგასაწევია.

აღსანიშნავია ისიც, რომ მამა ვასილის სახლში ჯერ ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატმა თვალებიდან ცრემლების სახით დაიწყო მირონდენა, შემდეგ მთელი ხატი დაიცვარა, იგივე ემართება მამა ვასილის ყველა ხატს და მის სახლში შეტანილ ყველა სხვა კანონიკურ ხატსა და ჯვარს. ეს ამბავი ამ მოძღვრის განსაკუთრებულ მადლმოსილებასა და სიწმინდეზე მეტყველებს, და სწორედ ასეთი მადლმოსილი მამა ამბობს, რომ დიდი ომი იქნება. ამ ამბავს იგი იმდენად რეალურად აღიქვამს, რომ მასთან მყოფი ადამიანები, მოსალოდნელი დიდი შიმშილობის მოლოდინში, კარტოფილისა და ვაშლის ნაფცქვენებსაც კი აღარ ყრიან, რეცხავენ, აშრობენ და სამომავლოდ ინახავენ. ასევე აშრობენ და ინახავენ პურის ნარჩენებს. მათ აიღეს მიწის დიდი ნაკვეთი და ამუშავებენ, რათა მომავალი გაჭირვების პერიოდისთვის მარაგი შექმნან. ამით ისინი უკვე რეალურად ემზადებიან ხვალინდელი დღისთვის, ანუ იმ დიდი ომისთვის, როდესაც თვით ამერიკაც ასეთ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

**— მამა თეოდორე, მამა არჩილის (მინდიაშვილის) ამასწინანდელ ქადაგებიდან მოვისმინეთ, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის „შენ ხარ ვენახის“ სიმბოლიკა გამოხატავს ერთის მხრივ, საქართველოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრობას და, მეორეს მხრივ, წმიდა ნინოს ვაზის ჯვარს. თქვენ ხომ არ განგვიმარტავდით ამ ახლა უკვე მირონმდინარე ხატის მნიშვნელობას?**

— როგორც მამა არჩილი ამბობს, ასეთი მისტიკური კავშირი მართლაც არსებობს, და მირონდენა, აგრეთვე სხვა სასწაულები, რომლებიც ამ ხატიდან აღესრულება, აღნიშნავს უფლის კურთხევას. მაგრამ მისივე სიტყვებით, ამ სიმბოლიკის, ამ კავშირის ჭეშმარიტი აზრი საცნაური გახდება მხოლოდ ბოლო ჟამის წინა პერიოდში, ამიტომ ამ საკითხის შესახებ სჯობს თავად მამა არჩილს მიმართოთ. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის „შენ ხარ ვენახის“ დამწერი არის ირაკლი ცინცაძე, მაგრამ მისი სულიერი ავტორი გახლავთ არჩილ მინდიაშვილი, ამიტომ თავად ხატის სულიერ მნიშვნელობას იგი ყველაზე კარგად ხედავს. ისე, პატრიარქის კურთხევით, მალე უნდა გამოვიდეს წიგნი ამ ხატის შესახებ და მისი „დაუჯდომელი“ ლოცვაც, რომლებშიც ღვთისმშობლის ხატის „შენ ხარ ვენახის“ ისტორიის და მნიშვნელობის შესახებ ყველაფერი იქნება მოთხრობილი. ჩვენთან ტაძარში მოსული იყო ერთ-ერთი ეკლესიის მოძღვარი, მამა გიორგი, რომელმაც ეს ხატი დედანში პირველად ნახა. პარაკლისი გადაიხადა და შემდეგ მითხრა, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეს ხატი ჭეშმარიტად ქართული ხატია და მასში ქართული სული იგრძნობაო.

**— მამა თეოდორე, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე 1999-2001 წლებში გამოქვეყნდა წერილები იმის შესახებ, რომ დასავლეთის მმართველი წრეების ინიციატივით, 1990-იან წლებში ამიერკავკასიის გარშემო მოხდა შეიარაღებული დაპირისპირების ესკალაცია. დაპირისპირებულ მხარეებად გამოიკვეთნენ ერთის მხრივ თურქეთი და მისი ნატოელი მოკავშირეები, ხოლო მეორეს მხრივ – რუსეთ-ირან-ჩინეთის ალიანსი. ხოლო ყოველივე ამას საფუძვლად უდევს 90-იან წლებში აშშ და გერმანიის მიერ თურქეთის შეიარაღებული ძალების არაადექვატური გაძლიერება. ასეთი დიდი სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე და მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებული მამების წინასწარმეტყველებების გათვალისწინებით, გამოიკვეთა ამ ორ კოალიციას შორის მესამე მსოფლიო ომის გაჩაღების რეალური კონტურებიც. როგორ შეიძლება შევაფასოთ ეს პროცესები სულიერი თვალსაზრისით?**

— საერთოდ, ჩვენ პოლიტიკოსები არა ვართ და უფრო სულიერად ვცდილობთ მოვლენების დანახვას. მესამე მსოფლიო ომი რომ უნდა მოხდეს, ამის შესახებ არსებობს წინასწარმეტყველებები. ის ტრაგედია, რაც 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკაში მოხდა და იმ პროცესების განვითარება, რაც ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ პალესტინაში ხდება, სწორედ იმის მომასწავებელია, რომ დიდი ომი უნდა იყოს. ჯერ კიდევ 11 სექტემბერს მომხდარ ტრაგედიამდე რამდენიმე თვით ადრე ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოვიდა წიგნი „XX საუკუნის ფარული ორგანიზაციები“, რომლის პირველწყარო 1993 წელს გერმანიაში გამოსცეს (იან-ვან-ჰელზინგის ნაშრომი „ფარული ორგანიზაციები და მათი ძლიერება მეოცე საუკუნეში“). ხოლო შემდეგ რუსულადაც თარგმნეს. ამ წიგნში მოთავსებულია ამერიკელი მასონის ალბერტ პაიკის („კუ-კლუქს-კლანის“ დამაარსებლის), საერთოდ ბნელით მოცული პიროვნების, წერილი თავისი ევროპელი კოლეგის ჯუზეპე მაზინისადმი, რომელიც დაწერილი და გაგზავნილია 1871 წელს. მასში პაიკი მაზინის ეუბნება, რომ მასონურ-ილუმენისტური ორგანიზაციების მსოფლიოში გაბატონებისთვის სამი მსოფლიო ომი არის საჭირო. თანაც ისინი ამას კი არ წინასწარმეტყველებდნენ, არამედ ასეთ გეგმებს რეალურად სახავდნენ. აღნიშნულ წერილში ნათქვამია, რომ მესამე მსოფლიო ომის დაწყებამდე ამერიკაში მოხდება ტერაქტები; რამდენიმე ქალაქი დაიბომბება, მათ შორის ნიუ-იორკიც. რომ ეს უნდა დაბრალდეს აღმოსავლეთელ ექსტრემისტებს, და ეს ასე მოხდა კიდეც. თუ ამას კიდევ დავუმატებთ თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილებს 1990-იანი წლების განმავლობაში დასავლეთის მმართველი წრეების მიერ ამიერკავკასიის გარშემო ახალი შეიარაღებული დაპირისპირების შესახებ, აქ შეიძლება ითქვას, რომ უკვე ხდება სიტუაციის მომწიფება.

მამა ვასილიც ამბობს, რომ რუსეთში დიდი განსაცდელი და გაჭირვება იქნება და ძალიან მწარედ დაისჯებიან ის ადამიანები, მამაკაცები და დედაკაცები, ვინც გარყვნილი ცხოვრებით ცხოვრობენ; ქალები, რომლებიც მქავობენ, მამაკაცები, ვინც ფულის გულისთვის უამრავ უზნეობას სჩადიან. ამ ომის მიერ მრავალი ადამიანი მოწყდება, ხოლო ქრისტიანთაგან კი მრავალი სასწაულებრივად გადარჩება. ეს ომი გახლავთ ადამიანთა უზნეობისათვის განსაკუთრებულად დამსჯელი ომი. პოლიტიკოსები მოქმედებენ, გეგმებს აწყობენ, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ღვთის დაშვების გარეშე არაფერი არ მოხდება.

**— თუ შეეხება ეს ომი საქართველოს?**

— საქართველოს არა აქვს ის სამხედრო პოტენციალი, რომელიც მას გადაარჩენს, მაგრამ ვისაც ასეთი პოტენციალი აქვს, ისინიც ვერ გადაირჩენენ თავს. გამოსავალი მდგომარეობს უფლისადმი სასოებაში, უფლის რწმენაში; ერთი ღერი თმაც არ დავარდება უფლის ნების, მისი დაშვების გარეშე ადამიანის თავიდან. მით უმეტეს, რომ, როდესაც მესამე მსოფლიო ომის ნანგრევებზე წარმოიქმნება ანტიქრისტეს ახალი მსოფლიო სახლი, რომელშიც თვითონ ანტიქრისტე უნდა გაბატონდეს, სწორედ ამ დროს უნდა მოხდეს ივერიის გაბრწყინება. თუ ომმა საქართველოს ტერიტორიაზე გაიარა და გამოიარა, ივერია განადგურდება, როგორც ასეთი და მაშინ რაღა გაბრწყინებაზეა ლაპარაკი?

— ე.ი. ღვთის მადლით, ივერია დაფარული იქნება.

— მადლობა ღმერთს, საქართველო გაბრწყინდება, ჩვენ ამაზე ვსასოებთ და ამის შესახებ წინასწარმეტყველებენ ბერძენი და რუსი მამები. მაგრამ ვინ იქნება ამ გაბრწყინების თანამონაწილე? ყველა ქართველი ან საქართველოში მცხოვრები ყველა ქრისტიანი იქნება

გაგრძელება მე-7 გვ.

## ჯანმრთელობა

# ცხვირის გაწმენდა

რა დაავადებებს ვმკურნალობთ ან ავიცილებთ ცხვირის განმენდით: მწვავე და ქრონიკული ფარინგიტი, რინიტი, ჰაიმორიტი, გლაუკომის საწყისი ფორმა და თვალის ისეთი დაავადებები, რომელთაც თან ახლავს მტკივნეულობა, ქათმის სიბრმავე, მხედველობის დაქვეითება; დადებითად მოქმედებს თვალის ფსკერზე და სმენაზე. შესანიშნავი საშუალებაა შაკიკის, უძილობის ან პირიქით, ძილიანობისაკენ მიდრეკილების, მეხსიერების დაქვეითების დროს, ხელს უწყობს ინტელექტის განვითარებას, აფერხებს გამელოტებას და თმის ცვენას, ეფექტურია ტუბერკულოზის, რევმატიზმის სამკურნალოდ. ცხვირის ძგიდეზე არსებული რეცეპტორები ძლიერ რეფლექსურ ზემოქმედებას ახდენენ გულზე, ფილტვზე, კუჭზე და ა. შ. — მთელ ორგანიზმზე, ამიტომაც ქვემოთ მოყვანილი ცხვირის განმენდის ინდური მეთოდი აუცილებლად უნდა ჩავრთოთ თითქმის ყველა დაავადების მკურნალობის პროცესში.

განმენდის მეთოდიკა: 1) განმენდა იოგას მეთოდით. 0,5 ლ ბოთლს ან ჩაის დასაყენებელ ჩაიდანს ვავსებთ 37-38 გრადუსი ტემპერატურის ანადუღარი წყლით. ვარგებთ ბავშვის საწოვარას, 3-5 მილიმეტრის სიდიდის ხვრელით. ვხსნით წყალში 1 ჩაის კოვზ სუფრის მარილს. ვიდგამთ მუხლზე ან ვდებთ იატაკზე თასს, ვიღებთ ჩაიდანს ან ბოთლს და მასზე მორგებულ საწოვარას ჩავიდგამთ მარჯვენა ნესტოში (შეგვიძლია მარცხენითაც დავიწყოთ). ამასთანავე თავს ვაბრუნებთ მარცხნივ ისე, რომ მარცხენა ყური მიქცეული იყოს იატაკისაკენ. ოდნავ წინ ვიხრებით. დინჯად ვსუნთქავთ პირით. 1-2 წამის შემდეგ წყალი შევა მარჯვენა ნესტოში და მარცხენა ნესტოთი გადმოიღვრება, ისე რომ არ მოხვდება პირის ღრუში. როცა ბოთლი სანახევროდ დაიცლება, ვიღებთ საწოვარას ცხვირიდან, ვიხრებით წინ და ცხვირით ვაკეთებთ რამოდენიმეჯერ მკვეთრ ამოსუნთქვას. შემდეგ არ ვსწორდებით და ამ მდგომარეობაში ვაბრუნებთ თავს მარცხნივ. შემდეგ მარჯვნივ და ვიმეორებთ მკვეთრ ამოსუნთქვას ცხვირით. ამასთანავე არ უნდა დავაცემინოთ ან ცხვირი არ მოვიხოცოთ — წყალი შეიძლება მოხვდეს შუა ყურში. ამის შემდეგ პროცედურას ვიმეორებთ მეორე ნესტოსათვის.

წმენდისას მოსალოდნელი მოვლენები: პროცედურის ჩატარებისას ცხვირი სრულიად პასიურია. ცხვირით არავითარი სუნთქვა და წყლის შეწოვა არ ხორციელდება, ხსნარი თვითონ შედის და გამოდის. შეიძლება წყლის ნაწილი მოხვდეს პირის ღრუში, არაფერია საგანგაშო. თუკი ერთი წუთის შემდეგ წყალი თავისით არ გადის ნესტოებში, ცხვირის გზები შეიძლება შეწოვით გავწმინდოთ. ამისათვის დავრჩეთ თავდახრილ მდგომარეობაში, თავისუფალ ნესტოს მივაჭიროთ თითი და მეორე ნესტოთი ნელა შევისრუტოთ ხსნარი. წყალი უნდა გადადინდეს ცხვირიდან პირში. როგორც კი პირი წყლით აგვევსება, გამოვიღოთ საწოვარა, გავათავისუფლოთ ის ნესტო, რომელიც ადრე თითით გვქონდა მიჭერილი, ამოვისუნთქოთ იმ ნესტოთი და გავაღოთ პირი. ასეთივე გზით გავიწმინდოთ მეორე ნესტო. ამის შემდეგ წყალი ერთი ნესტოდან თავისუფლად გადადის მეორეში. გავიწმენდთ რა ამ მეთოდით ცხვირს, აუცილებელია დამთავრების შემდეგ ცოტა ხნით წინ დავიხაროთ, მოვკიდოთ წვივებს ხელი და ამ მდგომარეობაში რამოდენიმეჯერ ჩავისუნთქოთ პირით და ამოვისუნთქოთ ცხვირით, თან თავი ვაბრუნოთ მარცხნივ და მარჯვნივ. ყველაფერი ეს საჭიროა ცხვირის გამოსარეცხი წყლისაგან სრულად გასათავისუფლებლად.

2) განმენდა ურინით: ცხვირის განმენდა შემდეგნაირადაც შეიძლება — ძველი აღმოსავლური ურინოთერაპიის მეთოდის მიხედვით ვიღებთ დილის თბილ საკუთარ შარდს მარჯვენა ხელში და შევიწოვთ მარცხენა ნესტოთი (მეორე ნესტო ამ დროს უნდა დავხუროთ მარცხენა ხელის თითით). შემდეგ იგივე პროცედურას ვიმეორებთ მარჯვენა ნესტოსათვის მარცხენა ხელით. ამგვარი მეთოდით ცხვირის განმენდის ეფექტი — მყისიერია.

## თვალსაზრისი

# საქართველო – პოლიტიკური უდაბნო

მე-2 გვერდიდან

თის ნიალში დაბრუნება სცადეს. მათ ჩამოაყალიბეს ლოზუნგები: „საქართველოს არ შეუძლია რუსეთის დახმარების გარეშე"; „მხოლოდ რუსეთის დახმარებით შეგვიძლია ჩვენი სიძნელეების დაძლევა" და სხვა. ამავე დროს ახდენდნენ ძველი მდგომარეობის იდეალიზაციას.

დამოუკიდებლობისაგან გაქცევის მეორე გზა ახალი პატრონის ძიებაა. ეს ტენდენცია ხელისუფლებისა და მრავალი პარტიის საქმიანობაში გამომჟღავნდა. ისინი აცხადებდნენ: „ახალი, ძლიერი მფარველის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია დამოუკიდებელი ცხოვრება; ჩვენ რომ გადავრჩეთ, უნდა შევიდეთ ევროპის ქვეყნების, ან ამერიკის მფარველობაში". ეს გზა ძიებაა ახალი ბატონისა, რომელიც დაგიფარავს და გიპატრონებს.

დამოუკიდებლობისაგან გაქცევის მესამე გზაა ე.წ. „ნევროტული ფუსფუსი". ამის გამოხატულება არის ხელისუფლებისა და გარკვეული პარტიების მცდელობა შექმნან სერიოზულობის შთაბეჭდილება თავიანთი საქმიანობის შესახებ, აკეთონ თითქოს ძალიან მნიშვნელოვანი რაღაცა სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისათვის, იფუსფუსონ. ჩვენში ამის მაგალითებია: „აბრეშუმის გზის აღდგენა"; „ნაციონალიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა"; „მეგობარი ქვეყნების სისტემის ჩამოყალიბება" და სხვა. ასეთი სასარგებლო და უსარგებლო საქმიანობანი ხშირად სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების რანგში არის აყვანილი, თუმცა ასეთ ამოცანას სულაც არ ემსახურებიან.

დამოუკიდებლობისაგან გაქცევის ამ სამი ტიპის აქტივობას ერი დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ არ მიჰყავს. თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა გულისხმობს ხელისუფლების აქტივობას დაიწყოს შესატყვისი თანამშრომლობა მეზობელ და შორეულ სახელმწიფოებთან, შექმნას სახელმწიფო მართვის სათანადო ორგანოები, განსაზღვროს სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო დარგები, გაითვალისწინოს ერისა და ეთნიკური ჯგუფების მოთხოვნები. ამ მიმართულებით ჩვენმა ხელისუფლებამ თითქმის არაფერი გააკეთა. ჩვენს მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ საქართველოში მრავალი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს და ჩვენი ქვეყანა მძიმე ეთნოკონფლიქტებშია ჩართული. ეთნოკონფლიქტების ერთ-ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს ხელისუფლებას ნათელი წარმოდგენა არა აქვს ერის ბუნებისა და მისი უფლება-მოვალეობის შესახებ. ამის გამო იგი თავისი ხალხისა და ეროვნული უმცირესობის მიმართ არასწორ პოლიტიკას ახორციელებს.

ერს ხშირად განსაზღვრავენ როგორც ადამიანთა გაერთიანებას ერთ სოციალურ ჯგუფში. ასეთ გასაზღვრებაში იგულისხმება, რომ ერში გაერთიანებამდე ადამიანებს უკვე ჰქონდათ ისეთი თვისებები, როგორიცაა ენა, კულტურა, ადათ-ჩვევები, გარკვეული რწმენა და სხვა. მაგრამ აღნიშნულ თვისებებს ადამიანები მხოლოდ ერის წიაღში ცხოვრების გამო იძენენ. ერში გაერთიანებამდე მათ ვერ ექნებოდათ ეს ადამიანური ნიშნები, ე.ი. ისინი ვერ იქნებოდნენ ადამიანები. ამიტომ დებულება, რომ ერი ადამიანების გაერთიანების შედეგად შეიქმნა, მიუღებლად უნდა ჩაითვალოს. ინდივიდები მხოლოდ ეროვნულ წიაღში ცხოვრების შედეგად ყალიბდებოდნენ ადამიანებად. ამავე დროს ისიც ნათელია, რომ ერი ამ ერის წარმომადგენელი ადამიანებისაგან შედგება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერიცა და ადამიანებიც მთლიან პროცესში, ერთდროულად ყალიბდებოდნენ. ადამიანებმაცა და ერმაც ამ სოციალურ პროცესში შეიძინეს სულიერება. შემდგომში ისინი თავისი სპეციფიკური კანონების მიხედვით ვითარდებოდნენ და ამავე დროს, ინარჩუნებდნენ შინაგან კავშირს. დღესაც ცოცხალი ინდივიდი, პოტენციური ადამიანი, ნამდვილ ადამიანად და პიროვნებად მხოლოდ გარკვეული ერის წიაღში ცხოვრების გამო ყალიბდება.

**შოთა ნადირაშვილი**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## წინასწარმეტყველება

# ფსკოვო-პეჩორის მონასტრის ხატებიდან მირონდენა დიდ ომს მოასწავებს

მე-6 გვერდიდან

ამის თანამონაწილე თუ ერთეულები? აგერ, ისრაელი გაბრწყინდა 2000 წლის წინ. ღმერთი, სამყაროს შემოქმედი, ადამიანად მოვიდა. რამდენი გახდა ამის თანამონაწილე? ძალიან ცოტა. ხოლო ის, ვინც ამის თანამონაწილე არ გახდა, ისინი ყვიროდნენ – „სისხლი მაგისი ჩვენ ზედა და ჩვენ შვილთა ზედა". ამით საკუთარი თავი დაწყევლეს და უფლის მკვლელებად გადაიქცნენ. ჩვენც ასე არ დაგვემართოს. ივერია გაბრწყინდება და ეკლესიას სურს, რომ ამ გაბრწყინების, ამ ბედნიერების თანამონაწილე გახდეს მრავალი ადამიანი. ხოლო თუ მრავალი გახდება, ანუ თუ მრავალი ადამიანი მოემზადება ამასთან შესახვედრად, მერწმუნეთ, რომ ეს ომი ჩვენ გვერდზე ჩაგვივლის და არ შეგვეხება. ღმერთს შეუძლია ეს გააკეთოს, სასწაულები ყოველთვის ხდებოდა და დღესაც ხდება. ჩვენ უნდა ვსასოებდეთ უფლის წყალობაზე და ვიყოთ კარგი ქრისტიანები.

– მამაო, როდესაც 2001 წლის სექტემბერში ვაზისუბანში ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი გამოეცხადა ერთ ქალბატონს, ხატმა მას განუცხადა, რომ ამერიკაში მესამე დიდი მსოფლიო ომი იწყება და იგი საქართველოსაც შეეხება, რომ საქართველოზე გადაივლიან და გადმოვილიან. თუ არის შესაძლებელი, რომ ეს წინასწარმეტყველება რამდენადმე შერბილდეს ან შეიცვალოს? გვინდა გავიხსნოთ ქალაქ ნინევიის მცხოვრებთა მაგალითი, რომლებიც დიდ ცოდვაში იყვნენ ჩამდგარი და უფალმა მათ წინასწარმეტყველი მიუგზავნა, რათა შეენანათ, თუ არა და გაანადგურებდა. ნინევიელებმა გულწრფელად და მხურვალედ შეინანეს და უფალმაც აპატია მათ უწინდელი შეცოდებანი. ასევე, როდესაც მრავალგზის შემცოდე ებრაელების გაჟლეტა გადაწყვიტა ღმერთმა, მოსე მის წინაშე დადგა მხურვალე ლოცვით, რათა თუნდაც იგი წარეწყმიდა, ოღონდ ებრაელი ხალხისთვის ეპატიებია და განადგურებით არ დაესაჯა. ამ შემთხვევაშიც უფალმა შეისმინა მისი რჩეულის ვედრება.

– კიდევ ერთი მაგალითია მნიშვნელოვანი, როდესაც ძველ აღთქმაში ნაწინასწარმეტყველები იყო, რომ უფალს პირველი სასწაული იერუსალიმში უნდა მოეხდინა, იგი კი თავის პირველ სასწაულს ღვთისმშობლის თხოვნით, კანას გალილეაში ახდენს. ამიტომ იგი გარკვეული საყვედურის კილოთიც მიმართავს თავის წმიდა დედას – „ხომ იცი, ჩემი ჟამი ჯერ არ დამდგარაო". მაგრამ ღმერთი თავისავე წინასწარმეტყველებას მაინც ცვლის და ახდენს სასწაულს. თან ისეთ სასწაულს, როდესაც ვინმე კი არ იღუპებოდა, არამედ სიძეს ღვინო შემოაკლდა და ჯობდა კიდეც, ნაკლებად დათვრებოდნენ. მაგრამ რატომ მოახდინა უფალმა ეს სასწაული? რატომ შეცვალა თავისი წინასწარმეტყველება? იმიტომ, რომ მას სთხოვა მისმა ყოვლადწმიდა დედამ, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა. აქედან ჩანს, რომ უდიდესია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მეოხება, რომ მას შეუძლია ღვთის წინასწარმეტყველებაც შეცვალოს ადამიანის განსაცდელის შესამსუბუქებლად.

ჩვენ ვართ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ვაზისუბანში მომხდარ გამოცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ამერიკაში დაიწყებოდა დიდი ომი და მეორე დღეს იქ სწორედ ის ტრაგედია განხორციელდა, რასაც მერე ომის დაწყება მოჰყვა. ეს გამოცხადება რომ ღვთისგან იყო, ამას ადასტურებს ისიც, რომ იქ ტაძარი შენდება და პატრიარქის კურთხევა არის ამაზე, ნიში უკვე გაკეთდა. ე.ი. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი არ გვტოვებს. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ღვთისმშობლის, შეიძლება ასე ითქვას, ყველაზე უპირატეს ხატს, ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი ჰქვია. აღსანიშნავია, რომ რუსებს თავიანთი ქვეყნის ჩრდილოეთ, სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი საზღვრები ჩაბარებული აქვთ ღვთისმშობლის სხვადასხვა ხატებისათვის, ხოლო საკუთრივ სამხრეთ საზღვარი – ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისათვის. ამიტომ ეს ხატი ჩვენი ჩრდილოეთის საზღვრების მფარველიც არის.

როდესაც ერთ დროს ჩალატარ ნოინის მკვლელობის გამო ალამუთის ალყად მდგომმა მონღოლებმა ეჭვი მათ ბანაკში მყოფ ქართველებზე მიიტანეს და მათი გაჟლეტა გადაწყვიტეს, ქართველებმა იარაღის ძალით არ სცადეს საკუთარი სიცოცხლის დაცვა, თუმცა შეეძლოთ, ასეც მოქცეულიყვნენ და თავიანთი სიცოცხლის სანაცვლოდ საიქიოში უამრავი უსჯულოც გაესტუმრებინათ. მაგრამ მათ მუხლი მოუყარეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას და მას შეჰღაღადეს. თითქოსდა გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ მოხდა გასაოცარი რამ – თვითონ მკვლელი გამოვიდა ლერწმებიდან და დაიძახა, ჩალატარ ნოინი მე მოვკალიო. ასეთი რამ ხომ თავისთავად არ ხდება. აი, ასე შეუძლია ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს გადაარჩინოს საქართველო. მხოლოდ ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენც იმ მხედრებივით, ვართ კიდეც ქრისტეს მხედრები, მუხლი მოვუდრიკოთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს და ერთად შევღაღადოთ: „მოწყალებისა კარი განგვიღე კურთხეულო ღვთისმშობელო...", რამეთუ ჩვენ მხოლოდ მას ვესავთ. აი, ასე უნდა იყოს.

**ირაკლი ხართიშვილი**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ამერიკულ-ქართული სიყალბე ანუ რისთვის გვაჩუქა პენტაგონმა 10 ვერტმფრენი?

მე-2 გვერდიდან

ანებში ნატოელი სპეციალისტები და ექსპერტები ახლად შემოდიოდნენ საქართველოში და ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შესწავლილი და ათვისებული საქართველოში ამ მხრივ არსებული სიტუაცია, არ ჰყავდათ ნაყიდი და გადაბირებული თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სფეროში საკვანძო თანამდებობებზე მყოფი ჩინოვნიკები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ხოლო მათ მიერვე დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდნენ და დასავლეთისთვის სასურველი კლიმატის შექმნა ისე კარგად არ შეეძლოთ. ამიტომ ამ ფონზე ჩვენში ჩამოსულ ამერიკელ და სხვა ნატოელ მრჩევლებს, ჩვენივე ნდობისა და კეთილგანწყობის მოსაპოვებლად მაშინ უფრო მეტი სიმართლის თქმა უხდებოდათ. სულ ეს არის და ეს.

საქართველოს სამხედრო დახმარების საკითხში ამერიკულ-ქართული მორიგი სიყალბის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ამ ცოტა ხნის წინ პენტაგონის მიერ საქართველოსთვის UH-1D „იროქეზის" ტიპის 10 ვერტმფრენის გადმოცემა. მართალია, ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება, მაგრამ როდესაც ამ საჩუქარს თან სიცრუე და ვერაგობაც მოჰყვება, მაშინ კი კარგად უნდა დავფიქრდეთ და გავარკვიოთ, ასეთ სიცრუეს საით შეიძლება მივყავდეთ.

საქმე იმაშია, რომ UH-1 „იროქეზი" სერიის ვერტმფრენები აშშ არმიის შეიარაღებაში გამოჩნდა ჯერ კიდევ 1980-იან წლებში და ვიეტნამის ომში ამერიკელები გარკვეული ამოცანების გადასაწყვეტად მათ წარმატებითაც იყენებდნენ. UH-1 ვერტმფრენები წარმოადგენენ მრავალმიზნობრივ ანუ ზოგადი დანიშნულების ვერტმფრენებს, რომელთა ფუზელაჟის ზომები სიგრძეში, სიგანესა და სიმაღლეში არის 12,8X2,8X4,4 მ, საბრძოლო დატვირთვა, დაახლოებით, 1700 კგ. თითოეულ ასეთ ვერტმფრენს შეუძლია 11-14 სრულიად ეკიპირებული ჯარისკაცის ან ცხრა საკაციანი დაჭრილის გადაყვანა. თავის დროზე სცადეს მასზე უმართავი საავიაციო რაკეტების, საავიაციო ავტომატური ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ჩამოკიდებაც მოქმედი სახმელეთო ქვედანაყოფებისთვის ცეცხლით მხარდაჭერის აღმოსაჩენად. მაგრამ ფუზელაჟის მსხვილი ზომების გამო ასეთი ამოცანების გადაწყვეტისას ისინი ადვილად მოწყვლადი ხდებოდნენ მოწინააღმდეგის საზენიტო საშუალებებისგან.

ამიტომ ცეცხლით მხარდაჭერის აღმოსაჩენად იმავე ვიეტნამის ომის პერიოდში ამერიკელებმა გამოუშვეს სულ ორადგილიანი კაბინის მქონე მცირე ზომის ვერტმფრენები AH-1 „კობრა", რომლის ფუზელაჟის ზომებიცაა 13,6X1,0X4,1 მ. კაბინაში ერთმანეთის უკან სხედან მეთაური და დამმიზნებელი, რის ხარჯზეც ფუზელაჟის სიგანე 1,0 მ-მდე შეამცირეს. ასეთ ვერტმფრენებზე ჯერ დაიწყეს უმართავი საავიაციო რაკეტების ჩამოკიდება მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის დასაზიანებლად და მსუბუქი საფორტიფიკაციო ნაგებობების დასანგრევად და მათ უწოდებდნენ ცეცხლით მხარდაჭერის ვერტმფრენებს AH-1G.

უფრო მოგვიანებით დაიწყეს „თოუს" ტიპის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების ჩამოკიდება (6-8 რაკეტა „თოუ") და, შესაბამისად, AH-1Q და C მოდიფიკაციებს უწოდებდნენ ტანკსაწინააღმდეგო ვერტმფრენებს. 80-იან წლებში ამ ვერტმფრენების AH-16 და W/P მოდიფიკაციებზე დაიწყეს უფრო სრულყოფილი „ჰელფაირის" ტიპის მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების ჩამოკიდება, ხოლო ამასთანავე გამოუშვეს უფრო თანამედროვე AH-64 „აპაჩის" სერიის ვერტმფრენები. AH-1 და AH-64 ვერტმფრენები უკვე საბრძოლო მანქანებია და მათ უწოდებენ სპეციალიზებულ მოიერიშე ან დამრტყმელ ვერტმფრენებს.

გარდა ამისა, აშშ არმიის შეიარაღებაში არის მსუბუქი ორადგილიანი OH-58 „კაიოვა" სერიის სადაზვერვო და CH-47დ „ჩინუკი" ტიპის მძიმე სატრანსპორტო ვერტმფრენები (საბრძოლო დატვირთვა 18 ტ, კაბინაში შეუძლიათ 44 ეკიპირებული ჯარისკაცის გადაყვანა).

ასეთ პირობებში ზოგადი დანიშნულების UH-1 და უფრო თანამედროვე UH-60 „ბლექ ჰოქი" ვერტმფრენები განკუთვნილია მცირე ტაქტიკური დესანტების გადასასხმელად, დაჭრილებისა და ავადმყოფების საევაკუაციოდ, ტვირთების გადასაზიდად, საძიებო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად, ადგილმდებარეობის დისტანციურად დასანაღმავად. აგრეთვე მათში შესაძლებელია რადიოელექტრონული ჩახშობის აპარატურის დაყენება და მაშინ EH-1 და EH-60 სერიების ასეთ ვერტმფრენებს იყენებენ რადიოელექტრონული ბრძოლის საწარმოებლად.

UH-1 და UH-60 ზოგადი დანიშნულების ვერტმფრენებით ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგის ზურგში ტაქტიკური აერომობილური დესანტების გადასხმას წინ უნდა უძღოდეს ჯერ სადაზვერვო ვერტმფრენებით დესანტის ფრენის დაგეგმილ მარშრუტზე მოწინააღმდეგის მიწისზედა ჯარების საზენიტო საშუალებების გამოვლენა, შემდეგ კი მოიერიშე ავიაციის თვითმფრინავებითა და AH-1, AH-64 დამრტყმელი ვერტმფრენებით აღნიშნული საშუალებების განადგურება ან ჩახშობა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი UH-1 და UH-60 ვერტმფრენებით ტაქტიკური დესანტების გადასხმა. შემდეგში მოწინააღმდეგის ზურგში მოქმედ მედესანტეებს საავიაციო მხარდაჭერას უნდა აღმოუჩენდნენ მოიერიშე თვითმფრინავები და დამრტყმელი ვერტმფრენები. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება შესაძლებელი წარმატებული აერომობილური მოქმედებების წარმოება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, აშშ არმიის ყველა დივიზიაში არის საარმიო ავიაციის ბრიგადა, რომელიც შეიცავს სხვადასხვა დანიშნულების ვერტმფრენებს. სახელდობრ, აშშ ჯავშანსატანკო (მექანიზებული) დივიზიის შეიარაღებაში არის სულ 146 ვერტმფრენი, მათგან 50 დამრტყმელი, 30 ზოგადი დანიშნულების, 54 სადაზვერვო და 12 რადიოელექტრონული ბრძოლის (ანუ 50 საბრძოლო და 96 საბრძოლო უზრუნველყოფის ვერტმფრენი). სწორედ ამ მანქანების ასეთი შეხამება იძლევა როგორც მოწინააღმდეგის ჯავშანსატანკო ტექნიკასთან ბრძოლის, ისე აერომობილური მოქმედებების ჩატარების შესაძლებლობას. მხოლოდ ზოგადი დანიშნულების ვერტმფრენების გამოყენება კი მოწინააღმდეგის ჰაერიდან შემოვლის მიზნით მედესანტეების უცილობელ დაღუპვასთან იქნება დაკავშირებული.

ამ ვერტმფრენებით უბრალოდ შესაძლებელი იქნება თავად ამერიკელების საჭიროებისთვის სერბეთის პროვინცია კოსოვოში ან სხვა რომელიმე რაიონში „სამშვიდობო" ოპერაციების წარმოებისას იქ ქართველი ქვედანაყოფების გადასროლა. ანუ ამერიკელები კი არ გვეხმარებიან ჩვენი ჯარების ჩამოყალიბებაში, არამედ ისინი თავად გვიყენებენ თავიანთი მიზნებისთვის. და ასეთია სამწუხარო რეალობა.

**ირაკლი ხართიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ჩვენი ისტორია**

# პ. ნ. შონია
# ბოროტების სათავე, ანუ როგორ შეთითხნეს „მეგრელთა საქმე“

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №8,9,10,11,12,13,14. 2002 წ

კოლმეურნეობებს უმოწყალოდ ძარცვავდა ყველა, ბრიგადირიდან დაწყებული თავმჯდომარემდე. ამ უკანასკნელს რაიონის ხელმძღვანელობა ჰყავდა სარჩენი და გაძარცულ კოლმეურნეობაში კოლმეურნეთათვის დასარიგებელი რაღა უნდა დარჩენილიყო. ამაზე მინდა მკითხველს მოვუთხრო ხალხში გავრცელებული ერთი ანეკდოტი: „ერთ-ერთ კოლმეურნეობას რაიონიდან რევიზორი გაუგზავნეს. რევიზორმა გზაზე ერთი კოლმეურნე ჩაისვა მანქანაში. იფიქრა, მოდი ამ გლეხს გამოვკითხავ ზოგიერთ რამეს, რათა ცოტა წარმოდგენა მქონდეს, თუ რა ხდება შესამოწმებელ ობიექტზეო. რევიზორი ეკითხება გლეხს სხვადასხვა საკითხზე. მათ შორის ერთი კითხვა ასეთი იყო: „რამდენი წევრია თქვენს კოლმეურნეობაში?“ გლეხი პასუხობს: „ჩვენს კოლმეურნეობაში ორი წევრია — თავმჯდომარე და ბუღალტერი“. რევიზორი მიხვდა, რასაც ნიშნავდა ამ ენაკვიმატი გლეხის პასუხი. მივიდა ადგილზე, დაიწყო შემოწმება, მაგრამ საერთო ენა უმალ გამოძებნა თავმჯდომარემ რევიზორთან, რათა მას თვალი დაეხუჭა ზოგიერთ დარღვევებზე. რევიზორი მოუყვა თავმჯდომარეს იმ კაცზე, ვინც გზაზე შეხვდა, აღწერა მისი გარეგნობაც. თავმჯდომარე და ბუღალტერი უმალ მიხვდნენ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს კაცი და იმავე ღამეს ერთი სატვირთო მანქანა სიმინდით, ლობიოთი და სხვა პროდუქტებით პირამდე გავსებული შინ მიუგზავნეს. მეორე დღეს ეს კოლმეურნე წავიდა სოფლის ცენტრში რაღაცის საყიდლად. მაღაზიის წინ რევიზორი შეხვდა, რომელიც ნასადილევი იყო და თანაც კარგად შეზარხოშებული. რევიზორმა იცნო გუშინდელი თანამოსაუბრე. გაახსენდა მისი ნათქვამი და კვლავ ჰკითხა: „კაცო, რამდენი წევრია თქვენს კოლმეურნეობაში?“. გლეხმა უპასუხა: „ჩვენს კოლმეურნეობაში სამი წევრიაო“. რევიზორმა გაკვირვებული ტონით მიმართა გლეხს: „ეს როგორ, შენ ხომ თქვი, ორი წევრი იყოო“. იყო, ბატონო, ორი წევრი, მაგრამ წუხელ მეც გამაწევრეს“. რევიზორი ყველაფერს მიხვდა. კომენტარს მკითხველს მივანდობთ.

**ბერიას კანდიდატურა**

ბუნებრივია, იბადება კითხვა — რატომ სტალინმა თავის შემცვლელად მაინცდამაინც ბერიას კანდიდატურა აირჩია? ნუთუ, მართლა პოლიტბიუროში არავინ გამოინახა მისი ალტერნატივა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს ადვილია. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ყველასათვის გასაგებია, თუ რა ადმინისტრაციულ-მმართველობითი სისტემა ჰქონდა დანერგილი მაშინ სტალინს. ასეთი სისტემის შენარჩუნებას რკინისებური კაცი სჭირდებოდა, რომელიც არაფერს დაერიდებოდა დასახული მიზნის განხორციელებისათვის. სწორედ ასეთი პიროვნება იყო ბერია. პოლიტბიუროს სხვა წევრები მეტ-ნაკლებად ლოიალურები იყვნენ. შემთხვევითი არც ის იყო, რომ პოლიტბიუროს წევრები სტალინის წინადადებას ბერიას აღზევების თაობაზე დუმილით შეხვდნენ. მათ ჰქონდათ ამის საფუძველი. იცოდნენ, რომ ბერია ჩუმად ყველას უთვალთვალებდა, იცოდნენ უმნიშვნელო რამეზე არავის დაინდობდა, არავის არაფერს აპატიებდა. მის ხელში ისედაც განუზომელი ძალაუფლება იყო თავმოყრილი. ერთი სიტყვით, ყველას ეშინოდა მისი. ბუნებრივია, რომ ასეთი მკაცრი კაცის სახელმწიფოს სათავეში დასმას არც ერთი მათგანი არ დაეთანხმებოდა.

***

მეორე დღესვე, როგორც კი კაგანოვიჩმა მოახსენა ბერიას პოლიტბიუროს სხდომაზე მისი კანდიდატურის წამოყენების შესახებ და ის, რაც შემდეგ მოხდა, ბერია ეახლა სტალინს და უთხრა: ...„იოსებ ბესარიონის ძევ, ორი-სამი წელია გულდასმით ვაკვირდები პოლიტბიუროს წევრებს, გულდასმით ვსწავლობ მათ ყოველ ნაბიჯს. ჩემის აზრით, უკეთესი იქნება ზოგიერთი მათგანი — ოთხი კაცი მაინც გამოვიყვანოთ პოლიტბიუროს შემადგენლობიდან. მე მოგცემთ პოლიტიკურად სანდო პირთა სიას, საქართველოს ცენტრალური კომიტეტიდან და სხვა რესპუბლიკებიდანაც. მათგან კი, ვინც უნდა შევიდეს პოლიტბიუროში, აირჩიეთ თვითონ“. დღესდღეობით ცნობილი არაა, კონკრეტულად ვისი შეყვანა სურდა ბერიას პოლიტბიუროში, მაგრამ ბატონ ილიას მაღალი ჩინის ჩეკისტებისგან მოუსმენია, რომ პოლიტბიუროს შემადგენლობიდან გასაყვანად ბერიას მიაჩნდა: პირველ რიგში ბულგანინი და ხრუშჩოვი (ბერიას ჭკუის მოქნილობა და გამჭრიახობა დაადასტურა კიდეც ცხოვრებამ სტალინის სიკვდილის შემდეგ).



სტალინმა ამ წინადადებაზე ბერიას ცივი უარი შეაგება და დასძინა: ...„ნაციონალურ საკითხზე შრომა მაქვს დაწერილი და გამოქვეყნებული, გარდა ამისა, ეს რომ გავაკეთო უეჭველია ნაციონალისტად გამომაცხადებენ“. მაშინ ბერიამ, რომ იტყვიან, არც აცია და არც აცხელა, ისე მიახალა სტალინს: ...„იოსებ ბესარიონის ძევ! გახსოვდეთ, როგორც მე, ისე თქვენც ორივეს დაღუპვა გველის“. ამ დღიდან, ამბობენ, რომ სტალინს და ბერიას შორის შავმა კატამ გაიარაო (ბატონი ილიას თქმით, ასეთი აზრი დადიოდა აღიარებულ ჩეკისტებს შორისაც).

1952 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში სტალინი კვლავ ჩამოდის ბორჯომში. აქ მას დახვდნენ ელისაბედაშვილი, ეგნატაშვილი, ბუჯიაშვილი, ძმები ბალავაძეები, მგელაძე და სხვები. მათი უმეტესობა სტალინის ნაცნობები იყვნენ, ზოგიც ნათესავი. სტალინი ყველას მიესალმა, ხელი ჩამოართვა და მოიკითხა ისინი. ელისაბედაშვილი და ეგნატაშვილი ოფიციალურად ელაპარაკნენ სტალინს: ...„მართალია, ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გაყვანილია, პარტიიდან გარიცხულია და პასუხისგებაში მიცემულია ყველა დიდი მეგრელი, მაგრამ ჯერ კიდევ მათ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში ნომენკლატურული ადგილები უკავიათ და საქართველოში პოლიტიკურ კლიმატს ჰქმნიანო“.

ამ დროისათვის მოხსნილია და პასუხისგებაში მიცემულია მიხა ბარამია, ჭიჭიკო რაფავა, ვლადიმერ შონია, მამია ზოდელავა, პეტრე შარია, ვალოდია ზარელუა, ნინა ჟვანია, კონსტანტინე ჭიჭინაძე და სხვები, სულ 37 კაცი.

ზუსტად ცნობილი არაა, თუ რა და როგორ ილაპარაკეს სტალინთან შეხვედრისას ზემოთ აღნიშნულმა მასთან დაახლოებულმა პირებმა, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ მათი წასვლიდან ერთი საათიც არ იყო გასული, სტალინმა გასცა განკარგულება: გაეგრძელებინათ დაპატიმრება და პასუხისგებაში მიეცათ ნომენკლატურულ თანამდებობაზე მყოფი ყველა მეგრელი. აქვე მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება სამეგრელოს მთელი მოსახლეობის აყრისა და გადასახლების შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, ამ დროისათვის მოხდა საქართველოს გაყოფა თბილისისა და ქუთაისის ოლქებად, ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივნად აირჩიეს ბალავაძე, თბილისის საქალაქო კომიტეტისა — ბუჯიაშვილი[1].

**ნ. რუხაძის მხილება**

1952 წელს დაპატიმრებები გაგრძელდა. კოტე ბზიავა ყველაზე ბოლოს აიყვანეს. ჯერ კიდევ, როცა რუხაძე არ იყო გაძევებული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტიდან, მან ბზიავას თხოვა დაეთვალიერებინა საზღვარი. ამ მიზნით მას რამდენიმე კაცი გააყოლეს. ბზიავა თავისი ხალხით დააკავეს საზღვართან. მან საბუთები წარუდგინა დაცვას, მაგრამ არ მოუსმინეს, სურათი გადაუღეს და მასალები რუხაძეს მიუტანეს. რუხაძემ მგელაძეს ბზიავას დაპატიმრების სანქცია სთხოვა, მაგრამ ცივი უარი მიიღო. მგელაძე თანდათან ხვდებოდა რუხაძის „საქმიანობას“, მაგრამ უკვე გვიან იყო. რუხაძე იმდენად იყო გათამამებული, რომ ამ საკითხზე შეედავა კიდეც მგელაძეს. ამ უკანასკნელის კაბინეტიდან იგი გაბრაზებული გამოვიდა და ტელეფონით დაელაპარაკა სტალინს. სტალინმა მაშინვე დაურეკა მგელაძეს და უთხრა: ...„რატომ არ აძლევ ბზიავას დაჭერის ნებას, იგი ადრეც იყო დასაჭერიო“. მგელაძე მიხვდა, რომ რუხაძემ დააბეზღა სტალინთან.

რუხაძე წელში ამაყად გაიმართა, გაიფოფრა. მგელაძესთან თამაში მოგებული ჰქონდა. გადის დრო, მიდის დაკითხვები. ძიება მიყავთ, როგორც ადრე აღვნიშნეთ, აკრძალული მეთოდებით. დგება დაკითხვის ოქმები, იკინძება ტომები. მაგალითად, ბარამიაზე შედგენილი იყო 29 ტომი, კოკაიაზე 32 ტომი, მირცხულავაზე 27 ტომი და ა. შ.

გრიგოლ კოკაიამ ყველაზე საინტერესო როლი ითამაშა იმ დრამაში, რომელიც მაშინ იდგმებოდა საქართველოს უშიშროების სამინისტროში. მან შეწყვიტა ჩვენების მიცემა იმ მომენტიდან, როგორც კი გაიგო, რომ მოხსნილი იყო ჩარკვიანი და მის ადგილზე გადაყვანილი იყო მგელაძე.

რუხაძემ კოკაია მოაყვანინა თავის კაბინეტში და უთხრა: ...„შე „ჟულიკო“, რატომ არ იძლევი ჩვენებას? გინდა ძალით აგალაპარაკოთ? შენ იცი სად ხარ? დედას გიტირებ, აქედან ცოცხალი ვერ გახვალ“.

— ვნახოთ, ვის ეტირება დედა, მგელაძე მე ძირფესვიანად მიცნობს, მან დღეს იცის, ჩვენ არავითარი ჯგუფი არ გვქონია და არც სახელმწიფო მოღალატეები ვართ. მან იცის, რომ მე ქვეყნისა და პარტიის ერთგული კაცი ვარ. იგი ჩემს დაუკითხავად არცერთ რაიკომის მდივანს არ ნიშნავდა. ყველა დიდ საქმეზე მე მეთათბირებოდა ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივნად მუშაობის დროს. მან მაშინათვე ეჭვი შეიტანა ყველაფერში, რასაც შენ ჩადიოდი, ახლა ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეს უსაზიზღრესი ბრალდებები შენი ხელმძღვანელობითაა შეთითხნილი. ისიც ვიცით, ვინ გყავს ამ სისაძაგლეში ჩათრეული და რა არხებით მიდის ეს შავბნელი მონაჩმახი სტალინთან. მგელაძე ქუთაისშივე მეუბნებოდა: „გრიშა, ცოტა მოიცადე, რუხაძეს დედა ეტირება. მტარვალო, ახლოსაა ანგარიშების გასწორების დრო“.

კოკაია იმდენად იყო განაწამები და დასუსტებული, რომ აჩრდილს ჰგავდა, მაგრამ ღონე მოიკრიბა და ზემოთ თქმული საბრალდებო დასკვნასავით მიახალა რუხაძეს. უნდა ითქვას, რომ რუხაძე გატყდა. გამოიძახა მცველი და უბრძანა — კოკაია საკანში ჩაეყვანათ. თვითონ კი დაჯდა და ცხელ გულზე დაწერა საჩივარი მგელაძეზე. საჩივარი გაუგზავნა სტალინს. მისი შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: იგი წერდა, რომ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი აკ. მგელაძე ხელს უშლიდა მუშაობაში, რომ იგი დიდი ინტერესით არ ეკიდებოდა მეგრელ დამნაშავეთა დაპატიმრებებს, პირიქით, ბევრ შემთხვევაში იცავდა მათ, არ აძლევდა სანქციებს, მაგალითად, მოყავდა ბზიავაზე სანქციის მიუცემლობა და რომ უშუალოდ სტალინის შეწუხება გახდა საჭირო მის დასაპატიმრებლად. იგი საჩივარში მიუთითებდა, რომ მგელაძე დედით მეგრელი იყო, გვარად სალია. წერდა, რომ მგელაძე 1937 წელს დაპატიმრებული იყო და შემდეგ ბერიას მითითებით იქნა განთავისუფლებული. რომ მგელაძე კოკაიას ძმაკაცია და ვერაფრით ვერ შეურიგდა მის დაპატიმრებას. აქვე აღნიშნავდა, თითქოს მას გააჩნია საკმაოდ სარწმუნო საბუთები იმის შესახებ, რომ მგელაძე თანაუგრძნობს მეგრელებს, ამდენად იგი დამნაშავეა. გარდა ამისა, აფხაზეთში მუშაობის დროს იგი ეწეოდა ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას და სხვა.

სტალინი გაეცნო ამ საჩივარს. გასაკვირია, რომ ეს გენიოსი კაცი ახლა მაინც ვერ მიხვდა, თუ ვინ იყო რუხაძე და როგორ შეიყვანა მან მთელი ქვეყანა შეცდომაში. ამ შეცდომით კი სამეგრელოს რეგიონის მთელ მოსახლეობას ჯვარცმა ელოდა. ვინ იცის, რას ფიქრობდა სტალინი ამ წუთებში. ერთი რამ ცხადია, მან ამავე საჩივარზე წააწერა: ...„ამხ. აკ. მგელაძეს. ჩემის აზრით, თვით რუხაძეა პროვოკატორი, იმოქმედეთ კანონის მთელი სიმკაცრით“. აღნიშნული საჩივარი სტალინის რეზოლუციით უკანვე მიიღო მგელაძემ. ეს მოხდა 1952 წლის მაისში. მგელაძემ მაშინათვე მოიწვია კომიტეტის ბიუროს სხდომა, ბიუროს წევრებს გააცნო საქმის ვითარება. რუხაძე გამოაცხადა პროვოკატორად, ცილისმწამებლად, სტალინის მითითებით ძალით იქვე ააგლიჯა სამხრეები, დააპატიმრა და საკანში ჩააგდო. სწორედ ამაზე ამბობს ხალხური სიბრძნე: „რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

...მიდის ძიება. საკანში იტანჯებიან უდანაშაულო ადამიანები, რომლებიც თავიანთი განათლების და უნარის შესაბამისად იყვნენ დაწინაურებულნი. ახლა კი ქართულ-ნაციონალისტური ჯგუფის მსხვერპლნი გამხდარან. რუხაძის დაპატიმრების შემდეგ სულ სხვა სიომ დაჰბერა. ახლა ბევრმა გაიცნობიერა, რაშიც იყო საქმე. მაგრამ ვის შეეძლო ამის შესახებ ჩაეყენებინა საქმის კურსში სტალინი? ვისაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელი ჰქონდა ამ საზიზღარ საქმეში, აწუხებდათ ის, რომ ბერია ჯერ კიდევ იჯდა თავის ადგილას. მეტად შეშფოთდნენ ავი საქმის მკეთებლები.

„მეგრელთა საქმის“ არქიტექტორთა ნამოქმედარში ბერია იმთავითვე ხედავდა, თუ ვის გარშემო და რა მიზნით იხლართებოდა ინტრიგის ეს ქსელი. მან ისიც კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა „მეგრელთა საქმისათვის“ ასეთი ფართო მასშტაბის მიცემა და საკავშირო პოლიტიკის რანგში აყვანა. იგი ხვდებოდა, რომ მალე, სულ მალე, ბარამია ამ ჯგუფის რიგითი წევრი გახდებოდა, ხოლო ჯგუფის მეთაურად თვითონ მას მონათლავდნენ. ამას ყველაფერს ხვდებოდა არა მარტო ბერია, არამედ თვით უბრალო ხალხიც. იქნებ ეს გახდა მიზეზი საქვეყნოდ წარმოშობილიყო აზრი ბერიას მიერ სტალინის თავიდან მოშორების თაობაზე.

ბევრ პუბლიკაციაში შეხვდებით „მტკიცებას“, თითქოს სტალინის სიკვდილში ერიოს ბერის ხელი. ცხადია, ყველა ავტორი ამ თემაზე გამოთქვამს თავის შეხედულებას, მსჯელობს და აკეთებს ლოგიკურ დასკვნას, მაგრამ არცერთ მათგანს ამ საკითხზე არ გააჩნია ბოლომდე ეჭვმიუტანელი, სანდო, უტყუარი საბუთი. ამდენად ისინი ყველა სუბიექტური აზრია.

ამ საკითხზე ინტერესმოკლებული არ არის ბერიას ვაჟის, სერგოს აზრი. იგი ამბობს: ...„მე შემიძლია აღვიდგინო მეხსიერებაში ის ოჯახური ატმოსფერო, როცა გარდაიცვალა იოსებ ბესარიონის ძე. დედამ ჩემი დასწრებით განუცხადა მამას: ლავრენტი, შენ რამდენიც არ უნდა დაიმშვიდო თავი, შენი დრო გათავდა, შენ გიტანდნენ სტალინის წყალობით, ახლა კი მორჩა, სანამ გვიან არაა, დაწერე განცხადება გადადგომის შესახებ, მოიგონე ავადმყოფობა, ან სხვა რამ მოიფიქრე.

მამას არ ჩვეოდა თვითდამშვიდება. მას კარგად ესმოდა, თუ რა შეიძლება მოყოლოდა იმ დროისათვის არსებულ ძალთა დაჯგუფებას. მეუღლის რჩევაზე მან უპასუხა — ნინო, მე თუ დავწერ განცხადებას გადადგომის შესახებ, განა ეს შეცვლის მდგომარეობას? ისინი თუ მოინდომებენ, სულერთია, განახორციელებენ თავიანთ მზაკვრულ ჩანაფიქრს“.

გამოდის, რომ სტალინის სიკვდილი ბერიას დაღუპვის წინა დღედ მიაჩნდა მთელ ოჯახს. ამის შემდეგ ძნელია ვირწმუნოთ მავანთა მტკიცება, თითქოს სტალინის სიკვდილი განხორციელდა ბერიას ხელით.

ჩვენის ღრმა რწმენით, სტალინის სიკვდილში ბერიას მონაწილეობის ყველა ვერსია, რაც ხალხშია გავრცელებული და რაც ზოგიერთი ავტორის მიერაა გამოთქმული, სუბიექტურია. ამდენად, არცერთი მათგანი არ შეიძლება ჭეშმარიტებად ჩავთვალოთ.

*გაგრძელება იქნება*

*1. ზემოთ უკვე შევნიშნეთ, რომ ავტორის მსჯელობა სტალინ-ბერიას ურთიერთობაზე და სტალინის სიკვდილის ფაქტორებზე უსაფუძვლო ჩანს. მისი მოცილების მიზეზი იყო პოლიტიკის შეტრიალების აუცილებლობა კორეაში დამარცხების შედეგად. რაც შეეხება სტალინის როლს სამეგრელოს გასახლების გადაწყვეტაში, ეს ვერსია (რომელიც საზოგადოებაში ძალიან იყო გავრცელებული) ყოველმხრივ დამაჯერებელი ჩანს. რედ. კოლეგია).*

მთავარი რედაქტორი
მანანა ლობჯანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი. თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო“
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის
რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე
პასუხს ავტორი აგებს.